პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

შაბათი
4
იანვარი
1936 წ.
№ 3 (4462)

დღეს ნომერში:

— მეცნიერებისა და შრომის კავშირი („პრავდის“ მოწინავე).
— ამხ. მ. ი. კალინინის სიტყვა.
— მამაც ცხენოსნების მიღება.
— მახარაძელების მიღწევები.
— მახარაძელების პასუხი ალექსი სტახანოვს.
— კომბლიდან... კომბაინამდე.
— სანდრო ეული — შავი ოქროს ქალაქი.
— ფ. მახარაძე — თვითკრიტიკის [illegible]
— დეპეშა ამხანაგ სტალინს.
— სსრ კავშირში უცხოელთა ცხოვრების და გადასვლა-გადმოსვლის ახალი წესი.
— გენდუნის ინტერვიუ.
— მანჯურია-გერმანიის მოლაპარაკების გარშემო.
— სამხრეთ-ამერიკის დიპლომატიის ზნე-ჩვეულებანი.
— ურუგვაის წარმომადგენლის წასვლა მოსკოვიდან.

მეცნიერებისა და შრომის კავშირი

სოფლის მეურნეობის დაჯილდოებულ სტახანოველთა შორის არიან სასოფლო-სამეურნეო დარგის გამოჩენილი მეცნიერები, რომლებმაც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მისცეს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ახალი მაღალმოსავლიანი, გამძლე ჯიშები და რომლებმაც წინ წასწიეს აგრონომიული მეცნიერება. ტროფიმ დენისის ძე ლისენკო — ოდესის გენეტიკურ-სასელექციო სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის მეცნიერი ხელმძღვანელი; გიორგი კარლის ძე მეისტერი — სარატოვის სასელექციო სადგურის დირექტორი, იოან განსის ძე ეიხველდი — კიროვის პოლარული სასოფლო-სამეურნეო სადგურის მეცნიერი ხელმძღვანელი, ნიკოლოზ ვასილის ძე ციცინი — ციმბირის მარცვლეულის მეურნეობის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის მეცნიერი-სპეციალისტი — აი ამ ადამიანთა სახელები.

ისინი დაჯილდოვებულნი არიან ლენინის ორდენით თავიანთი მუშაობის დიდი პრაქტიკული შედეგებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების აქტიური დახმარებისათვის, სამეცნიერო მუშაობაში სიმტკიცისა და შეუპოვრობისათვის, გაბედული ექსპერიმენტისათვის. აკადემიკოსმა ლისენკომ შეიმუშავა მცენარეთა განვითარების სტადიურობის თეორია და აგრონომიული მუშაობის პრაქტიკა გაამდიდრა ისეთი ხერხით, როგორიც გაზაფხულება არის. აკადემიკოსმა მეისტერმა გადაჭრა რბილ ხორბლეულთან მაგარი მაღალხარისხოვანი ხორბლეულის თვისებათა შეთავსების ამოცანა. მან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მისცა ამ კულტურის ახალი ჯიშები. აკადემიკოსი ეიხველდი პოლარული წრის გადაღმა გაბედულად ავრცელებს კულტურულ მცენარეებს. აგრონომი ციცინი ქმნის ახალ ძვირფას ჰიბრიდებს. სოფლის მეურნეობის მეცნიერების მოწინავე მოღვაწეთა დაჯილდოვება უდაოდ მოწმობს იმას, რომ საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას უდიდესი მიღწევები აქვს.

პარტიამ და მთავრობამ ყველაფერი მოიმოქმედეს იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებამ უფრო ნაყოფიერად იმუშაოს. შეიქმნა ახალი საცდელი სადგურები, სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტები. სამეცნიერო მუშაობისათვის უდიდესი სახსრებია გადადებული. პარტია და მთავრობა არ შეჩერდნენ იმის წინაშე, რომ შეექმნათ ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემია. მეცნიერების მოღვაწეთა ყოველგვარ ინიციატივას დახმარებას უწევენ და ხელს უწყობენ უფრო გაბედულ ექსპერიმენტები მოახდინონ. ჩვენ მხარს დაგიჭერთ — უთხრა ამხანაგმა სტალინმა აგრონომ ციცინს, როდესაც ამ უკანასკნელმა გააცნო მას თავისი სამეცნიერო მუშაობა. ამ მოკლე ფრაზაში გამოხატულია ჩვენი პარტიისა და მთავრობის დამოკიდებულება საერთოდ მეცნიერებისადმი და, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისადმი. არსად, არცერთ ქვეყანაში მეცნიერებას არ ექცევა ისეთი ყურადღება და არ ეწევა ისეთი მატერიალური დახმარება როგორც ჩვენში ახლა. მთავარი სიძნელე იმაში კი არ მდგომარეობს რომ სამეცნიერო დაწესებულებებს მატერიალური ბაზა შევუქმნათ, არამედ იმაში, რომ გადავლახოთ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებაში არსებული სერიოზული ჩამორჩენა სოფლის მეურნეობაში სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნებისაგან.

რატომ არის, რომ სასოფლო-სამეურნეო დარგის გამოჩენილ მეცნიერთა დაჯილდოების დროს ჩვენ მაინც გვიხდება ლაპარაკი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ჩამორჩენაზე? ამაში არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. ისეთი ადამიანები, როგორიც ლისენკო, მეისტერი, ეიხველდი, ციცინი არიან, ჩვენი ქვეყნის სიამაყეს წარმოადგენენ. ისინი წარმოადგენენ ყველაზე გაბედულს, ყველაზე უფრო ახალგაზრდას, რაც კი ჩვენს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებაში მოიპოვება. ისინი არიან არწივები, რომლებიც ფართოდ შლიან ფრთებს. ისინი იმის ცოცხალი მაგალითი არიან, რომ საბჭოთა ქვეყანაში ტალანტი კი არ იღუპება, არამედ ყვავის.

მაგრამ საერთოდ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება ჩამორჩენილია. იგი ჯერ კიდევ ვერ მისდევს კვალდაკვალ თავის მოწინავე მოღვაწეებს.

არ შეიძლება არ დავინახოთ ის, თუ როგორ გიგანტურად იზრდებიან სოციალისტური მშენებლობის საჭიროებანი. ჩვენ ვაშენებთ ყველაზე უფრო მოწინავე, ყველაზე კულტურულ სოფლის მეურნეობას. უმეცნიეროდ ასეთ მეურნეობას ვერ ავაშენებთ. იგი ყველაზე მოწინავე მეცნიერებასა და ტექნიკას ითხოვს. იმაში დასარწმუნებლად წაიკითხეთ ტრაქტორისტთა, ბრიგადირთა, კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა გამოსვლები სოფლის მეურნეობის სტახანოველთა თათბირზე და თქვენ დაინახავთ, თუ როგორ დაჟინებით მოითხოვს საკოლმეურნეო სოფელი კვალიფიციურ სამეცნიერო დახმარებას. ეს გამოსვლები ხშირად გამოხატავს საყვედურს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიმართ და აქედან გარკვეული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

მეცნიერება არასოდეს არ მდგარა ისეთი გრანდიოზული და წარმტაცი ამოცანის წინაშე, როგორიც არის ბრძოლა 7—8 მილიარდი ფუთი მარცვლეულისათვის. ამ მოძრაობაში მან შესაფერი ადგილი უნდა დაიკავოს, იგი სათავეში უნდა ჩაუდგეს ამ ლაშქრობას. ამისათვის მეცნიერება როგორც საჭიროა ისე უნდა გარდაიქმნას.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ჩამორჩენა, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება პრაქტიკისაგან ერთგვარ მოწყვეტაში. არ ხდება მრავალი ფაქტის განზოგადოება. წარმოების უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები უპასუხოდ რჩება. ბევრ ინსტიტუტს არა აქვს მტკიცე დავალებანი, გამოკვლევა პირდაპირ არ არის დაკავშირებული სოციალისტური მშენებლობის საჭიროებებთან. სუსტად არის საქმე მექანიზაციის, სელექციის, მეთესლეობის, სასუქის გამოყენების და სხვ. საკითხთა დამუშავების მხრივ. საგამოკვლევო დაწესებულებებისათვის უცხო არ არის რუტინა და უმოძრაობა, ხშირად ისინი ძველებურად მუშაობენ და ივიწყებენ პრაქტიკის მოღვაწეთა გამოცდილებას. ამავე დროს, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — „მეცნიერებას სწორედ იმიტომ ეწოდება მეცნიერება, რომ იგი არ სცნობს ფეტიშებს, არ ეშინია გაილაშქროს დრომოჭმულის, ძველის წინააღმდეგ და გულისხმიერად უგდებს ყურს გამოცდილების, პრაქტიკის ხმას“.

აკადემიკოს ლისენკოს სიტყვა, რომელიც გუშინდელ „პრავდაში“ დაიბეჭდა, იძლევა იმის საკმაო ილუსტრაციას, თუ როგორ მუშაობს ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულება სოფლის მეურნეობაში.

მეცნიერების კავშირი წარმოებასთან უნდა იყოს ღრმა, ორგანიული. ეს როდია მარტო ორიოდე დღით წასვლა კოლმეურნეობებში რაიმე ლექციის წასაკითხავად, როგორც ეს ამოცანა ზოგიერთ სამეცნიერო დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი. ასეთი წარმოდგენა უაღრესად პრიმიტიულია.

„ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ მეცნიერების ადამიანებს, — ამბობდა ამხ. მოლოტოვი ამასწინათ სსრ კავშირის სახკომსაბჭოში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკთა მიღებისას, — უწინარეს ყოვლისა ფაქტების ფართო ცოდნა. არა ისეთ ცოდნათა და მსჯელობათა ნაწყვეტები, რომლებიც ცოტად თუ ბევრად შეგუებულია ხელისუფლების ორგანოების ამა თუ იმ დადგენილებასთან, არამედ ყველა ძირითადი ფაქტის ნამდვილი მეცნიერული ცოდნა მოცემულ დარგში, არა მარტო იმის ცოდნა, რაზედაც დღეს გაზეთებში სწერენ, არამედ საკითხის ისტორიის და იმის ცოდნა, თუ რას გვაძლევს სხვა ქვეყნების გამოცდილება, და იმ ფაქტების ფართო ცოდნა, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი მრავალფეროვანი სოციალისტური მშენებლობა, და ყოველივე ამასთან — შესწავლის სამეცნიერო მეთოდის გამოყენება“.

მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებიან სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას მადლობელნი ისინი, რომლებიც პრაქტიკის დახმარებას საჭიროებენ.

ახლა ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის მთავარ და მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მოსავლიანობის გადიდების საკითხთა მეცნიერული დამუშავება. ამ უბნისაკენ უნდა იყოს მიპყრობილი მეცნიერების სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა გამოჩენილი მოღვაწეების მთელი ყურადღება და ძალღონე. სოფლის მეურნეობის სტახანოველთა თათბირზე, კერძოდ, აღინიშნა, თუ როგორ უნდა მოხდეს მოსავლიანობის გადიდების საკითხების მეცნიერული დამუშავება ცალკეულ რაიონებთან შეფარდებით. ამ მუშაობაში აუცილებლად გამოყენებულ უნდა იქნას იმ მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება, რომლებიც ყველაზე დიდ მოსავალს ღებულობენ.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკებს შეუძლიათ ჰქონდეთ იმის იმედი რომ მათი ინიციატივა მხურვალე დახმარებას მიიღებს. პარტია და მთავრობა ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ წარმატებითი სამეცნიერო მუშაობა. საჭიროა მხოლოდ თვით სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკთა ენერგია და ინიციატივა. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების როლი ამხანაგ სტალინის მიერ დასახული იმ ამოცანის განხორციელებაში, რომელიც გულისხმობს მარცვლეულის საერთო მოსავლის 7—8 მილიარდ ფუთამდე გადიდებას უახლოეს 3-4 წლის ხანში, — იქნება საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ნამდვილი მიღწევების საუკეთესო შემოწმება.

„პრავდის“ მოწინავე, 3 იანვარი, 1936 წ.

□ □ □

დეპეშა ამხანაგ სტალინს

სარატოვი, 2 იანვარი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, ლენინის ორდენით დაჯილდოვებულმა გ. კ. მეისტერმა მოსკოვში ამხანაგ სტალინს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მუშაობა სასარგებლოდ სცნეს. უდიდესი სურვილი მაქვს თქვენის ხელმძღვანელობით მთელი ჩემი ძალღონე და ცოდნა მოვახმარო სოციალისტური მშენებლობის დიად საქმეს.

მეისტერი“. (ადს)

მამაც ცხენოსნების მიღება

3 იანვარს, საღამოს, საქართველოს მთავრობის სასახლის წითელ დარბაზში შესდგა ჩრდილო-კავკასიის კოლმეურნეთა — კავკასიონის ქედის გარშემო უმაგალითო გადარბენის მონაწილეთა — საზეიმო მიღება საქართველოს და ამიერ-კავკასიის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ.

მიღებას დაესწრნენ: საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ლავრენტი ბერია, ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. მგალობლიშვილი, საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივნები ამხ. გ. არუთინოვი და მ. გობეჩია, ა.-კ. სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ილიუშინი, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბ. მდივანი, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. მათიკაშვილი, ა.-კ. ცაკის მდივანი ამხ. ს. თოდრია, საქართველოს ცაკის მდივანი — ამხ. თ. ქლენტი, ტფილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნიორაძე, აგრეთვე საქართველოს და ამიერ-კავკასიის მთავრობათა სხვა წევრები, ტფილისის საწარმოთა დელეგაციები.

კრება გახსნა საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. მგალობლიშვილმა. მან მიულოცა გადარბენის მამაც მონაწილეთ რომლებმაც ბრწყინვალედ გაიარეს გზა სტარტის ადგილიდან ტფილისამდე.

შემდეგ მისალმებებით გამოვიდნენ ა.-კ. სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ილიუშინი, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. მათიკაშვილი.

საპასუხო სიტყვაში გადარბენის კომანდორმა ამხ. ჩუდესოვმა მადლობა გამოსთქვა გადარბენის მონაწილეთა გულთბილად და თავაზიანად მიღებისათვის და ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ასრულებენ ჩრდილო-კავკასიის მხარის კოლმეურნენი საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მითითებას მეცხოველეობის განვითარების შესახებ, ამიერ-კავკასიის და ჩრდილო-კავკასიის მხარის კოლმეურნეებს შორის დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების საფუძველზე.

ამხ. ჩუდესოვმა აგრეთვე ილაპარაკა იმაზე, რომ აფხაზეთის და საქართველოს კოლმეურნენი გარბენის ყველა პუნქტზე განსაკუთრებით გულთბილად ხვდებოდნენ გადარბენის მონაწილეთ და სთხოვდნენ მათ გადაეცათ ამიერ-კავკასიის და ჩრდილო-კავკასიის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთათვის, თუ რა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს მათ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და განსაკუთრებით სოციალისტური მეცხოველეობის აღმავლობაში.

გადარბენის მონაწილეებმა კოლმეურნეებმა ამხ. ძიტიევმა და კუზნიაევმა ილაპარაკეს თავიანთ კოლმეურნეობათა მიღწევებზე, შეძლებულ ცხოვრებაზე, რაც მათ მოიპოვეს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების შედეგად.

მრავალეროვან მხარეების ხალხთა დიდი მეგობრობის აღსანიშნავად საქართველოს მთავრობამ გადარბენის მონაწილეთ უძღვნა ვერცხლის [illegible] წარწერით: „კავკასიის ხალხთა მეგობრობა“.

გადარბენის კომანდორმა — წითელდროშოსანმა ამხ. ჩუდესოვმა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანს ამხ. ლ. ბერიას, საქართველოს და ამიერ-კავკასიის მთავრობათა ხელმძღვანელებს გადასცა მხატვრული ფოტო-ალბომები, რომლებშიაც ასახულია ჩრდილო-კავკასიის მხარის ხალხთა ცხოვრება და ბრძოლა, ცხენოსანთა ლაშქრობის თვალსაჩინო მომენტები და გადარბენის მონაწილეთა სურათები.

საზეიმო შეხვედრა საქართველოს სახ. [illegible] დამთავრდა.

შეხვედრის შემდეგ გადარბენის მონაწილენი დაესწრნენ რუსთაველის თეატრში პიესა „ანზორის“ სანახავად. მაყურებელნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ მამაც ცხენოსნებს.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხ. ლ. ბერია, გ. მგალობლიშვილი, ბუდუ მდივანი და სხვები. (ადს).

□ □ □ □ □ □ □

გენდუნის ინტერვიუ

ულან-ბატორი, 2 იანვარი. დღეს ულან-ბატორის გაზეთებში გამოქვეყნდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის 1935 წლის 29 დეკემბრის ინტერვიუ ამერიკის დეპეშათა სააგენტოს „ასოშიეტედ პრესის“ კორესპონდენტ ლიონდთან. ლიონდმა მოსკოვში მიმართა გენდუნს შემდეგი შეკითხვებით:

„1. არსებობს თუ რა საშიშროება, რომ უახლოეს ხანში იაპონელები და მანჯურები შეიჭრებიან დაიპყრონ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორია?

2. თვლის თუ არა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა ასეთი გართულებების მთავარ მოტივად იაპონიის მისწრაფებას — იპოვოს შემდეგში გზა საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ?

3. მიაჩნია თუ არა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შესაძლოდ ისეთი გართულებანი, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სხვა ერების ჩარევა იაპონია-მანჯურიის ომში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ?

4. დელეგაციის ახლანდელ ყოფნას მოსკოვში მიზნად ხომ არა აქვს მიიღოს ს. ს. რ. კავშირისაგან დახმარების პირობა მსგავსი ომის შემთხვევაში?

5. ჯარების რა რაოდენობა იმყოფება ამჟამად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის განკარგულებაში მოძალადეთა წინააღმდეგ თავდაცვითი ოპერაციების საწარმოებლად?

6. თქვენის აზრით, 1935 წლის 19 დეკემბრის შეტაკება საზღვარზე შემთხვევითი ეპიზოდია, თუ ინციდენტი, რომელსაც მივყავართ ომისაკენ?

გენდუნმა დასმულ კითხვებზე შემდეგი პასუხი გასცა:

1. იაპონია-მანჯურიის ჯარების მოქმედება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვარზე ამ უკანასკნელ წელს, დაწყებული იმ ცნობილი თავდასხმით ჩვენს მესაზღვრე ნაწილებზე ხალხინ-სუმეს რაიონში, რომელიც 1935 წლის 24 იანვარს მოხდა, საკმაოდ ცხადად მოწმობენ მათ აგრესიულ ხასიათს და განზრახვებს.

მართალია და, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი ცნობილია თავისი მშვიდობისმოყვარეობით. უდიდესი მსხვერპლის გაღებით და დაუცხრომელი ბრძოლით ჩვენმა ხალხმა მიაღწია იმის შესაძლებლობას, რომ თავისუფლად და დამოუკიდებლად აშენოს თავისი ცხოვრება და უკვე 14 წელია, რაც ჩვენ მშვიდობიან მშენებლობას ვეწევით და მთელ ჩვენს ძალღონეს ვხმართ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებას, ჩვენი ხალხის კულტურული დონისა და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას.

მანჯოუ-გოს დაარსებამდე ჩვენ არცერთი შეტაკება არ გვქონია საზღვრებზე და ვსარგებლობდით მშვიდობიანობისა და დამოუკიდებელი არსებობის ყველა სიკეთით. მას შემდეგ კი, რაც მანჯურიაში იაპონიის ჯარები მოვიდნენ, მდგომარეობა რადიკალურად იცვლება.

იაპონია-მანჯურიის ჯარები თავს ესხმიან ჩვენს მესაზღვრე ნაწილებს, იკავებენ ჩვენს ტერიტორიას, გზავნიან (როგორც ეს მოხდა ამა წლის ივლისში), ჩვენს ტერიტორიაზე სამხედრო „ტოპოგრაფებს“, რომელთაც ჩვენ, კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, შეპყრობის შემდეგ დაუყოვნებლივ უკან ვაბრუნებთ. მათ მიღებაზე ჯერ უარს გვეუბნებიან, შემდეგ კი მათ ღებულობენ, მაგრამ გვაბრალებენ იაპონიის არმიის შეურაცყოფას და მანჯოუ-გოს და კვანტუნის არმიის სახელით გაუგონარ ულტიმატურ მოთხოვნებს გვიყენებენ.

ყველა ჩვენი თხოვნა დავეთანხმოთ თავი, ყოველი ჩვენი მეცადინეობა — მშვიდობიანად შევუთანხმდეთ მათ, არავითარ ნაყოფს არ იძლევა.

6 თვის განმავლობაში ჩვენ ყოველნაირად ვცდილობდით მანჯურიის საზღვარზე შევთანხმებოდით იაპონელებს, რომელნიც მანჯოუ-გოს სახელით გამოდიოდნენ, რათა გადაგვეჭრა მომხდარი კონფლიქტები და შეგვემუშავებინა ღონისძიებანი, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა მომავალში ახალი ინციდენტების შექმნის თავიდან აცილება.

ჩვენ შევიტანეთ წინადადება — მოგვეწყო შერეული სასაზღვრო კომისიები, რომელთაც შესაძლებლობა ექნებოდათ ადგილობრივ გადაეჭრათ და თავიდან აეცილებინათ ყოველგვარი სასაზღვრო დავა. იაპონია-მანჯურიის მხარე არ დაეთანხმა ამ წინადადებას და ამით დაგვანახვა, რომ ის სრულებითაც არ არის დაინტერესებული თავიდან აიცილოს ის კონფლიქტები, რომელთაც პროვოკაციული მიზნებით თვითონვე ქმნის. ამის ნაცვლად ჩვენგან ულტიმატურად მოითხოვეს — მიგვეღო მათი რწმუნებულები ულან-ბატორში, წინააღმდეგ შემთხვევაში გვემუქრებოდნენ შეიარაღებული ძალის გამოყენებას.

იბადება კითხვა, რისთვისაა საჭირო მათი რწმუნებული ულან-ბატორში, ქალაქში, რომელიც საზღვარს დაშორებულია 1000-მდე კილომეტრით და სადაც არ არის შესაძლებლობა სასაზღვრო კონფლიქტების არც გადაჭრისა და არც თავიდან აცილებისა? როგორც ცნობილია, მანჯოუ-გოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში აგრეთვე არ ჰქონია და არც აქვს არავითარი ეკონომიური და სავაჭრო ინტერესები ჩვენში აგრეთვე არ არის მანჯოუ-გოს არცერთი ქვეშევრდომი.

იაპონია-მანჯურიის დელეგატებმა ჩვენ მანჯურიის სადგურზე ეს იმით აგვიხსნეს, თითქოს მათ სურდეთ ჩვენთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და ამასთან აღნიშნეს, ვითომ ასეთი ურთიერთობის არ ქონება საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად იმ სახელმწიფოს ტერიტორიის წართმევას და მასზე თავდასხმას არ მიმართავენ, რომელთანაც სურთ მშვიდობიანად იცხოვრონ, და რომ სწორედ ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება დამოკიდებულია ორივე მხარეზე და არა მხოლოდ ერთ მხარეზე. საერთაშორისო სამართალი არავის არ აძლევს უფლებას ცალმხრივად და ულტიმატურად, ომის მუქარით, მოითხოვოს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, მანჯოუ-გოს არავისთან არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, გარდა იაპონიისა. გაუგებარია, რატომ გვემუქრებიან ისინი ომს და მოითხოვენ, რომ ჩვენ მონღოლებმა, პირველებმა და ამავე დროს დაუყოვნებლივ ვცნოთ მანჯოუ-გო და დიპლომატიური წარმომადგენლების გაცვლა მოვახდინოთ.

იაპონიის დელეგატები მანჯურიაში ჩვენს დელეგატებს თავს მოახვევდნენ იმით განუმარტავდნენ რომ იაპონელები, მანჯურები და მონღოლები აზიელ ხალხები არიან და ამიტომ ჩვენ ერთნაირი მიზნები და ერთი პოლიტიკა უნდა გვქონდეს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, მიზნებისა და პოლიტიკის საერთოობა კანის ფერით არ განისაზღვრება, ხოლო მანჯურთა, კორეელთა და ზოგ სხვა აზიელ ჩაგრულ ხალხთა მდგომარეობაში ყოფნა ჩვენ არ გვსურს.

არ შეგვიძლია დავეთანხმოთ აგრეთვე იმას, რომ მანჯოუ-გოს წარმომადგენლების სახით შეგვექმნან იაპონიის სამხედრო მისიები, რომელთა მოღვაწეობაც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოსაზღვრე ჩინეთის რაიონებში ჩვენ კარგად ვიცნობთ.

2. მე ვფიქრობ, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დაპყრობისათვის იაპონიას უწინარეს ყოვლისა მიზნად აქვს ჩვენი დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია და ჩვენი გადაქცევა მეორე მანჯოუ-გოდ, საიდანაც ადვილი იქნება მზადება შემდგომი თავდასხმებისათვის ჩინეთსა და სსრ კავშირზე.

ჩვენ არ გვსურს ჩავერთოთ რაიმე უცხო კომბინაციებში, ჩვენ ვიცავთ და დავიცავთ საკუთარ საზღვრებს და ჩვენს დამოუკიდებლობას.

3. მე არ შემიძლია ვიწინასწარმეტყველო საერთაშორისო გართულებებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს იაპონია-მანჯურიის ჯარების მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში შემოჭრას. მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თანამედროვე პირობებში მშვიდობიანობის ყოველი დარღვევა აუცილებლად გამოიწვევს დიდ შერყევას სხვა ქვეყნებში.

4. ჩვენ მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს დიდ საბჭოთა კავშირთან, რომელიც ყოველთვის დიდი ყურადღებით და მეგობრულად გვეპყრობოდა და გვეპყრობა, დახმარებას გვიწევს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოველმხრივ. ამ. (მეჯოგვე) იცის, რომ სსრ კავშირი არის ჩვენი მეგობარი, რომელიც უანგაროდ არის დაინტერესებული, რათა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა შეძლებისდაგვარად თავისუფლად და მშვიდობიანად განვითარდეს და აყვავდეს. ჩვენ ყველას იმედი გვაქვს, რომ სსრ კავშირი დაგვეხმარება, თუ მოძალადეთა თავდასხმის მსხვერპლი გავხდით.

მე აქ მოვედი [illegible] მთელი რიგი მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად.

5 და 6. 19 დეკემბერს მოხდა იაპონია-მანჯურიის ჯარების ახალი თავდასხმა ჩვენს საზღვრის სადარაჯოზე ბულუნ დერისუნის რაიონში. სამასამდე თავით ფეხამდე შეიარაღებული კაცი მონღოლეთის ტერიტორიაზე უეცრად თავს დაესხა პატარა მესაზღვრე რაზმს, რომელსაც მიცემული ჰქონდა სპეციალური განკარგულება ყოველნაირად თავი აერიდებინა შეიარაღებული შეტაკებისათვის პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად. ამ ბანდიტური თავდასხმის დროს ჩვენი მოკლულია და უგზოუკვლოდ დაიკარგა 16 ცერიკი.

ცნობები გვაქვს, რომ ჩვენს ტერიტორიას ახალ-ახალ თავდასხმებს უწყობენ. ამასთანავე მე გავიგონე, რომ კვანტუნის შტაბი ამტკიცებს, ვითომ ჩვენ თავს ვესხმოდეთ იაპონია-მანჯურიის „სასაზღვრო ჯგუფებს“, რომელნიც მანჯოუ-გოს ტერიტორიაზე ჩვენი საზღვრის ახლოს მუშაობენ. საკმაოდ ცხადია, თუ რა საცილო და ყალბია ეს ახსნა-განმარტება.

ჩვენ პროტესტი განვუცხადეთ მანჯოუ-გოს მთავრობას და გავაფრთხილეთ იგი, თუ რა მძიმე შედეგს გამოიწვევდა ასეთი თავდასხმების შემდგომი ცდები და ამ შედეგებისათვის პასუხისმგებლობა მანჯოუ-გოსა და იაპონიას დავაკისრეთ.

ჩვენ, რასაკვირველია, ვიღებთ ყველა საჭირო ზომებს ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად და არ დავუშვებთ მოძალადეთა შემოჭრას. საამისოდ ჩვენ ძალღონეც მოგვეპოვება და გამბედაობაც.

მთელმა ჩვენმა ხალხმა ისწავლა ჭეშმარიტად თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრების სიკეთის დაფასება და იგი აღსავსეა გადაწყვეტილებით — უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლოს თავისუფლების დასაცავად.

მოძალადეებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ საქმე ექნებათ არა მარტოოდენ გენერლებთან და ფეოდალებთან, რომელთა მოსყიდვას და თითის გაუნძრევლად „დაპყრობას“ ფიქრობენ იაპონიის სამხედრო წრეები. მათ საქმე ექნებათ მონღოლეთის მთელ ხალხთან და მთავრობასთან, რომელიც აღჭურვილია ამ ხალხის ნდობით და მზად არის თავი დასდოს მათი ინტერესებისათვის.

ჩვენ აგრეთვე დარწმუნებული ვართ, რომ თუ ვაჟკაცურად თავს დავიცავთ, ჩვენს მხარეზე იქნება ყველა იმათი თანაგრძნობა და დახმარება, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობიანობის ინტერესები. მე დარწმუნებული ვარ, კერძოდ, რომ დიდი ამერიკელი ხალხის სიმპატიები ჩვენს მხარეს იქნება“. (ადს).

□ □ □

მანჯურია-გერმანიის მოლაპარაკების გარშემო

ბერლინი, 2 იანვარი. კოკუტსუ სააგენტო გადმოგვცემს ჩანჩუნის იაპონური გაზეთ „სინკიო ნიპი ნიპის“ ცნობას. ამ ცნობის თანახმად, გერმანიის სავაჭრო მისიის და მანჯოუ-გოს მთავრობის წარმომადგენელთა მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ტოკიოში გაიმართა, „მიღწეულია წინასწარი შეთანხმება; შეთანხმების მიხედვით დაარსდება საკონსულოები ან სავაჭრო წარმომადგენლობანი, ალბათ ჩანჩუნსა და ბერლინში“ (ადს).

სამხრეთ-ამერიკის დიპლომატიის ზნე-ჩვეულებანი

ჟენევა, 2 იანვარი. აქ მიღებულია ცნობები, რომ ბრაზილიამ თავის მოთხოვნას ურუგვაისაგან, რომ ურთიერთობა გაეწყვეტა სსრ კავშირთან, მიაყოლა მუქარა ბრაზილია-ურუგვაის საზღვრების დაცვის შეწყვეტის შესახებ. სამხრეთ-ამერიკის დიპლომატიის ენაზე ეს ნიშნავს, რომ ბრაზილიის მთავრობა იმუქრებოდა: დავეხმარები ურუგვაის აწინდელი პრეზიდენტის ტერას პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს აჯანყების მოწყობაში და ხელს შევუწყობ იარაღით მომარაგებაში ბრაზილიაში, სადაც იმყოფებიან ურუგვაის თებერვლის აჯანყების გამოქცეული ხელმძღვანელები. ამრიგად ბრაზილიის მთავრობა, რომელიც მოითხოვდა საბჭოთა კავშირისა და ურუგვაის ურთიერთობის გაწყვეტას და ემყარებოდა ვითომ კომინტერნის მონაწილეობას ბრაზილიის ამასწინანდელ აჯანყებაში, თვით ემუქრებოდა ურუგვაის მთავრობას, რომ დახმარებას გაუწევდა აჯანყებას ურუგვაიში.

ასეთია ლათინური ამერიკის ზნე-ჩვეულება. სხვათა შორის ბრაზილიის მუქარას ურუგვაის მიმართ მხარი დაუჭირეს არგენტინისა და ჩილის მთავრობებმა (ადს).

მახარაძელების მიღწევები

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის — ამხ. ლ. ბერიას

„კომუნისტის“ რედაქციას

თქვენი პირადი ხელმძღვანელობითა და მითითებათა განხორციელებით, ამხ. ლავრენტი, მუშაობაში სტახანოვური მეთოდების დანერგვით მახარაძის რაიონის ბოლშევიკებმა სახალხო მეურნეობის 1935 წლის გეგმების შესრულებაში შემდეგ მაჩვენებლებს მიაღწიეს:

მოკრეფილი და სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 3.825.000 კილოგრამი **ჩაის ფოთოლი**, გეგმის 104.4 პროცენტი; დამზადებულია **მანდარინი** 18.252.700 ცალი (გეგმის 122 პროც.), **ლიმონი** — 88.000 ცალი (გეგმის 220 პროც.).

ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმა შესრულებულია 102.7 პროცენტით, **მეცხოველეობის** განვითარების სახელმწიფო გეგმა — 100-ით. **საგზაო მშენებლობის** — 152.4-ით. **სასკოლო მშენებლობის** — 156-ით. **აბრეშუმის პარკის** დამზადების — 120,7-ით, **მრეწველობის** გეგმა შესრულებულია 102.5 პროცენტით, **თხილის** დამზადების — 100,4-ით (დამზადებულია 180.7 ტონა). **ხე-ტყის** დამზადების — 100 პროცენტით.

დანარჩენი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები შესრულებულია გადაჭარბებით. ჩაის საშემოდგომო სამუშაოთა გეგმები კი მთლიანად.

რაიონის მშრომელთა სახელით ვძლევით პირობას 1936 წელს მივცეთ სამშობლო ქვეყანას 5 მილიონზე მეტი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ისე წარვმართოთ მუშაობა, რომ ჩაის პლანტაციებს არ დასჭირდეს რემონტი; გადაჭრით ვიბრძოლოთ ციტრუსოვანთა განვითარების ხუთწლიანი გეგმის სახახელოდ შესრულებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი **მ. კილაძე**.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე **ქ. გოგუაძე**.

□ □ □

მახარაძელების პასუხი ალექსი სტახანოვს

შენი ამხანაგო ალექსი, მოწოდების საპასუხოდ ჩვენ, ჩაისა და ციტრუსების [illegible] **მახარაძის რაიონის** სანერგეების გამგეები, მყნობელები, აგრონომები და კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1936 წლის 15 იანვრამდე სანიმუშოდ შევღობავთ და გალავნით შემოვზღუდავთ ტრიფოლიატის დასათესად გამოყოფილ 6 ჰექტარ ფართობს, გავიყვანთ მასში სადრენაჟო ქსელს, დავაკვალავთ და მოვამზადებთ მისთვის საჭირო ორგანულ სასუქს.

1936 წელს ციტრუსების გასაშენებელ ნიადაგზე პირველ თებერვლამდე შევღობავთ, გავწმენდთ და ორმოებს ამოვიღებთ;

1936 წელს გეგმით მოცემულ 40 ჰექტარის ნაცვლად ციტრუსებს გავაშენებთ 60 ჰექტარზე;

გავაშენებთ 54 ჰექტარზე სანერგეს, რომელშიაც გამოვიყვანთ 3780 ათას ჯანსაღ ნერგს. მთლიანად დავაკმაყოფილებთ რაიონის ხუთწლიანი გეგმის მოთხოვნილებას და მივცემთ ორ მილიონ ნერგს, ხოლო მეზობელ რაიონებს 1780 ათას ნერგს;

120 მყნობელის გარდა, რომლებიც უკვე გვყავს, მოვამზადებთ 380 მყნობელს და მივაღწევთ დამყნილ ციტრუსების გახარების საუკეთესო მაჩვენებლებს;

პიკიროვკის ჩატარებისათვის სანიმუშოდ გავასუფთავებთ 48 ჰექტარზე გამოყოფილ ფართობს და 1936 წლის მასზე დავთესავთ ერთწლიან კულტურებს ნიადაგის წესიერ მდგომარეობაში მოსაყვანად;

სამაგალითოდ დავიცავთ და მოვუვლით არსებულ ნარგავებს. უზრუნველვყოფთ მის მაღალ მოსავლიანობას;

1936 წლის გაზაფხულზე ჩაის დავთესავთ 150 ჰექტარზე და ავითვისებთ ჩაის ახალ ფართობებს იმგვარად, რომ **არ დასჭირდეს რემონტი**;

ჩაის მოსავალს ერთ ჰექტარზე 1935 წლის 1500 კილოგრამის ნაცვლად 1936 წელს ავიყვანთ 1800 კილოგრამამდე;

ვიძლევით სიტყვას, **რომ ჩვენ**, სტახანოვურად გავანაღდებთ ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკების ლენინურ წინამძღოლის, დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფის ამხ. ლავრენტი ბერიას დაპირებას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი — მივცემთ დიდი საბჭოთა კავშირის მშრომელებს [illegible] მილიარდი ცალობით ციტრუსების ძვირფას ნაყოფსა და [illegible] მილიონ კილოგრამობით სურნელოვანი, ჩაის მზა პროდუქციას. უზრუნველვყოფთ უახლოეს მომავალში ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებას უცხოეთის ჩაის შემოტანისაგან.

□ □ □

ლაგოდეხის რაიონმა შეასრულა თამბაქოს დამზადების გეგმა

ლაგოდეხი, 3 იანვარი. ლაგოდეხის რაიონმა თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა ვადამდე ერთი თვით ადრე შეასრულა. დამზადებულია 2790 ტონა თამბაქო, გეგმის 103.3 პროცენტი.

გარდა ამისა გეგმის გადამეტებით შესყიდულია 80 ტონა. ამრიგად სულ დამზადებულია 2870 ტონა თამბაქო. ნაცვლად 1934 წლის ამავე ვადისათვის დამზადებული 2005 ტონისა, რაც შეადგენდა წლიური გეგმის 74.8 პროცენტს.

[illegible] დამზადება გრძელდება. დამზადებული თამბაქო უზრუნველყოფილია სათანადო მოვლით და წესიერი ფერმენტაციით.

ფაბრიკებს თამბაქო დროზე ეგზავნება.

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი **აზარაშვილი**.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე **ბეჟაშვილი**.

საფერმენტაციო ქარხნის დირექტორი **წერეთელი**.

□ □ □

ტრაქტორების რემონტი დავამთავრეთ

საქ. მიწსახკომში — შ. მათიკაშვილს

„კომუნისტის“ რედაქციას

თელავი, 31 დეკემბერი. მუშაობაში სტახანოვური მეთოდის დანერგვით **თელავის მტს-მა ტრაქტორების საზამთრო რემონტის** გეგმა თვენახევრით ადრე შეასრულა.

შეკეთებულია სულ 36 ტრაქტორი. აქედან საშუალო რემონტი გაუკეთდა 15 ტრაქტორს, მიმდინარე — 8-ს და კაპიტალური — 13 ტრაქტორს. დავამთავრეთ აგრეთვე მისაბმელ მანქანა-იარაღების რემონტი.

თელავის მტს-ის დირექტორი **ქადაგიშვილი**.

დირექტორის მოადგილე პოლიტდარგში **სიხარულიძე**

მტს-ის უფ. ინჟინერი **სეხნიაშვილი**.

▽ ▽ ▽

სსრ კავშირში უცხოელთა ცხოვრებისა და გადასვლა-გადმოსვლის ახალი წესი

მოსკოვი, 30 დეკემბერი. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა სსრ კავშირში უცხოელთა ცხოვრებისა და გადასვლა-გადმოსვლის წესი.

ამ წესის თანახმად უცხოელს სსრ კავშირში ცხოვრება შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ მას საცხოვრებელი საბუთი ექნება. ეს საბუთი მან უნდა მიიღოს მუშათა და გლეხთა მილიციის ადგილობრივ სამმართველოში, 24 საათის განმავლობაში იმ პუნქტში მისვლიდან, რომელიც სამყოფად აურჩევია. ადგილსამყოფელის ყოველი გამოცვლისას უცხოელი მოვალეა განუცხადოს ამის თაობაზე სასტუმროს, ან სახლმართველობას და ეს უნდა აღინიშნოს საცხოვრებელ საბუთში. არჩეულ ადგილას მისვლისას უცხოელმა 24 საათის განმავლობაში უნდა წარუდგინოს მილიციას თავისი საბუთი რეგისტრაციისა და გაწერისათვის.

თუ უცხოელი ისეთ ადგილას გამოცხადდება, რომელიც საცხოვრებელ საბუთში არა აქვს ჩანიშნული, შინსახკომის ორგანოებს შეუძლიათ აუკრძალონ მას ასეთ ადგილას ცხოვრება.

დადგენილი წესი არ უზღუდავს უცხოელს სსრ კავშირის ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლებას, გარდა ისეთი ადგილებისა, სადაც შესვლისა და ცხოვრებისათვის საჭიროა შინსახკომის სპეციალური ნებართვა.

უცხოელები, რომელნიც სსრ კავშირში არიან დაბადებული, ან 1914 წლიდან ცხოვრობენ, განთავისუფლებული არიან წინასწარი განცხადების წარდგენისაგან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შესახებ.

ეს წესები უცხოელ ტურისტებს არ შეეხებათ (ადს).

▽ ▽ ▽

ურუგვაის წარმომადგენლის წასვლა მოსკოვიდან

მოსკოვი, 2 იანვარი. 2 იანვარს [illegible] რწმუნებულის მოვალეობის დროებით აღმასრულებელი ბ. კარლოს [illegible] ურუგვაის რესპუბლიკის [illegible] მოსკოვიდან გაემგზავრა (ადს).

მ. ი. კალინინის სიტყვა

აზერბეიჯანის სს რესპუბლიკის ცაკის საიუბილეო სესიაზე 1935 წლის 30 დეკემბერს

ამხანაგებო! საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირის მთავრობის დავალებით აზერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ვულოცავ მისი არსებობის 15 წლისთავს (ხანგრძლივი ტაში).

აგრეთვე მოგესალმებით რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის სახელით. (გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს რუსეთის დიდ ხალხს! ვაშა!" „გაუმარჯოს საკავშირო სტაროსტას ამხანაგ კალინინს!" სესიის დელეგაცია ყვავილების თაიგულებით ადის სცენაზე და გარს ეხვევა ამხანაგ კალინინს. ხანგრძლივი ტაში „ვაშას" ძახილი).

ამხანაგებო, მე არ შევჩერდები აზერბეიჯანის და ბაქოს პროლეტარიატის ისტორიაზე. მე მხოლოდ შევჩერდები იმ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ჩვენ ახლა გვაწუხებენ და რომლებსაც ჩვენ ვსწყვეტთ და ვანხორციელებთ.

მხოლოდ ამ დღეებში დაამთავრა თავისი მუშაობა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც განიხილა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობა სტახანოვურ მოძრაობასთან დაკავშირებით, აგრეთვე შეაჯამა პარტიულ დოკუმენტთა შემოწმების შედეგები. მე შევეხები პლენუმის ზოგიერთ საკითხს.

პლენუმმა მოისმინა მოხსენება პარტიულ დოკუმენტთა შემოწმების შესახებ. პარტდოკუმენტთა შემოწმების მუშაობამ უდიდესი პოლიტიკური შედეგები მოგვცა. ყველა აღიარებს, რომ პარტიის არცერთი წინანდელი წმენდა არ აშუქებდა ასე ყოველმხრივ შინაპარტიულ ცხოვრებას, ისე ღრმად არ ამჟღავნებდა პარტიული ორგანიზაციების მტკივნეულ ადგილებს, როგორც ეს პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ მოგვცა.

ამ შემოწმების დროს ჩვენ გამოვაშკარავეთ უცხო, ხოლო ზოგჯერ პარტიისადმი პირდაპირ მტრულად განწყობილ ელემენტთა საგრძნობი რაოდენობა, რომლებიც იმყოფებოდნენ რა პარტიის შიგნით, პარტიის წინააღმდეგ მუშაობდნენ.

პლენუმმა მოითხოვა, რომ ამ შემოწმების შემდეგ პარტიულმა ორგანიზაციებმა სრული წესრიგი დაამყარონ თავიანთ პარტიულ მეურნეობაში. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ბაქოს ორგანიზაცია, ისე როგორც პარტიის ყველა ორგანიზაცია, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაამყაროს ეს წესრიგი, ამასთან მტკიცედ ემახსოვრება, რომ კომუნისტური პარტია ყველა სხვა ორგანიზაციისათვის წარმოადგენს ნიმუშს, და რომ პლენუმის მოთხოვნათა მთლიანად შესრულება — ეს არის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მუშაობა, რომელიც ჩვენი პარტიის კადრებს ეკისრება.

შემდეგი საკითხი, რომელიც პლენუმზე იყო განხილული, — ეს არის სამეურნეო კომისარიატების მუშაობა სტახანოვურ მოძრაობასთან დაკავშირებით. ამჟამად სტახანოვური მოძრაობა წარმოადგენს ყველაზე აქტუალურ და ყველაზე საჭირბოროტო საკითხს, რომლებზედაც პარტია ზრუნავს.

სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე ამხანაგმა სტალინმა თავის საუცხოო სიტყვაში მოგვცა სტახანოვური მოძრაობის სრული და ღრმა დასაბუთება. მან გამოავლინა ამ მოძრაობის ზრდის ფესვები და ამასთან ერთად დასახა მისი პერსპექტივები. მე მინდა შევჩერდე ერთ პუნქტზე, უფრო სწორად — ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ სტახანოვური მოძრაობის გამო მიღებული რეზოლუციის პუნქტის ერთ ნაწილზე. აი რა სწერია პლენუმის რეზოლუციაში:

„საჭიროა დავეხმაროთ უკლებლივ ყველა სტახანოველს შეავსონ თავიანთი ტექნიკური ცოდნა, შევუქმნათ მათ სპეციალური ტექნიკური კურსები, რომლებიც არ მოითხოვენ წარმოებიდან მოწყვეტას.

საჭიროა სისტემატურად გავაფართოვოთ იმ მუშათა და მუშა-ქალთა წრე, რომლებმაც აუცილებლად უნდა შეისწავლონ ტექნიკური მინიმუმი.

ბოლოს, საჭიროა ტექნიკური მინიმუმის სწავლება საყოველთაო და სავალდებულო გავხადოთ ყველა მუშისა და მუშა-ქალისათვის, ამასთან ეს უმნიშვნელოვანესი საქმე დავუქვემდებაროთ ისეთ ამოცანას, როგორიცაა მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება საინჟინრო-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე".

ამხანაგებო, ჩაუფიქრდით ამ დადგენილების აზრს და წარმოიდგინეთ, თუ რა რევოლუციას მოახდენს ქარხნებსა და ფაბრიკებში ამ პუნქტის პრაქტიკულად განხორციელება. რა უდიდეს პერსპექტივებს შლის იგი მუშათა კლასის წინაშე? მსოფლიოში სად აყენებენ საკითხს ისე, რომ კულტურულ-ტექნიკურად მხრივ მუშა გაუთანასწორონ ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალს? შეუძლია თუ არა თუნდაც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს ამ საკითხის დაყენება? თავისთავად ცხადია არ შეუძლია, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება თვით კაპიტალიზმის ბუნებას. ეს შესაძლებელია მხოლოდ საბჭოების ქვეყანაში, სადაც წლითი-წლობით ისპობა განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. პლენუმის ამ გადაწყვეტილების განხორციელებით ჩვენი ქვეყანა უდიდეს ნაბიჯს გადადგამს კომუნიზმისაკენ.

ხოლო რას გვაძლევს ეს პრაქტიკულად? თქვენ თვითონ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რამდენად გაადიდებს ეს შრომის ნაყოფიერებას. ცხადია, რომ მაშინ, როცა ყველა მუშის ცოდნა ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის დონემდე გადიდება, მაშინ ისინი თვით უბრალო სამუშაოსაც კი შეასრულებენ ადამიანთა ძალების მაქსიმალური დაზოგვით. საგრძნობად აიწევს როგორც უბრალო, ისე რთული შრომის ნაყოფიერება. უეჭველად გამარტივდება ადმინისტრატიულ-ტექნიკური ხელმძღვანელობა. და ეს სავსებით ბუნებრივია. ადმინისტრატორის მიერ ყოველი მითითების მიცემა მეგნებული ადამიანისათვის, კულტურული ადამიანისათვის, ტექნიკის მცოდნე ადამიანისათვის ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე განუვითარებელი, უკულტურო, საქმის უცოდინარ ადამიანისათვის! გამარტივდება წარმოების კონტროლიც. ცხადია, რომ ისეთი მუშისათვის კონტროლის გაწევა, რომელსაც თვითონ ესმის, თუ რას ხმარდება მის მიერ დამზადებული საგანი, რა ხარისხისა უნდა იყოს ეს საგანი, რომ საქმისათვის გამოდგეს, — გაცილებით უფრო მარტივი და უფრო ადვილი იქნება. თუ მუშას ყოველივე ეს ეცოდინება, მაშინ ცხადია, რომ მის მიერვე დაწუნებულ საგანს სახმარად არ გაუშვებს.

აი რას ნიშნავს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციის ეს პატარა პუნქტი. თუ თქვენ სათანადოდ გაიგებთ მას, მაშინ თქვენთვის ნათელი იქნება, თუ რა უდიდესი შედეგები მოჰყვება ამას და რა პერსპექტივებს გადაუშლის იგი ჩვენს მუშებს, მეტადრე ახალგაზრდებს.

სტახანოვური მოძრაობა — ეს პირდაპირ უნდა ითქვას — დიდი მოძრაობაა. მაგრამ ეს მოძრაობა, როგორც ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია აღნიშნავს, თქვენში ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული. საჭიროა, რომ ნავთის მრეწველობის მუშაკებმა გამოავლინონ ის შემოქმედებითი სტახანოვური ძალები, რომელნიც ნავთის მრეწველობის მუშათა წიაღშია.

მე ეჭვი არ მეპარება, რომ ნავთის მრეწველობის მუშები და, კერძოდ ბაქოს პროლეტარიატი, რომელიც ნავთის მხრივ მთელს საბჭოთა კავშირში გადამწყვეტ ძალას წარმოადგენს, შეასრულებენ ცენტრალური კომიტეტის ნება-სურვილს, ხოლო მე სულით და გულით ვუსურვებ მათ ამ საქმეში სრულ წარმატებას (ტაში).

ბაქოს, უფრო სწორად, რომ ვთქვათ, ბაქოელ მუშებს წინათ მეტად თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ რევოლუციურ მოძრაობაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბაქო რუსი მუშებისათვის უფრო ახლო იყო, ვიდრე ვთქვათ, ქალაქი ნოვგოროდი, თუმცა იგი რუსეთის ცენტრში იმყოფება. რუსი მუშა სამუშაოდ მიდიოდა ბაქოში და არა ნოვგოროდში: რევოლუციური მოძრაობა იყო ბაქოში და არა „დიდ" ნოვგოროდში.

მაგრამ მაშინ არსებობდა ორი ბაქო: ბაქო—რუსეთის თვითმპყრობელობის ადმინისტრატიული ცენტრი და ბაქო—მრეწველობის ცენტრი, მუშათა ცენტრი. რუს მუშებს იზიდავდა არა ბაქო, არამედ მისი ნავთის სარეწაოები: ბიბი-ეიბათი, ბალახანი, სურახანი, ერთი სიტყვით ბაქოს მიდამოები. ბაქოს სახელით მუშები გამოხატავდნენ თავიანთ სიმპატიებს სწორედ ამ სარეწაოებისადმი. მაგრამ თუ მუშებისათვის იყო ორი ბაქო, თუ მეფის ძველი რუსეთის მუშებს უყვარდათ არა თვით ბაქო, როგორც ქალაქი, როგორც ცენტრი, არამედ ბაქოს გარშემო მდებარე სამრეწველო მიდამოები, აზერბეიჯანის გლეხობა და ბაქოს გარშემო მყოფი მოსახლეობაც ამ ძველ ბაქოში თითქმის ვერაფერს მშობლიურსა და ახლობელს ვერ პოულობდა. აზერბეიჯანის გლეხი ბაქოში ვერ პოულობდა თავის ღვიძლ ნაციონალურ ქალაქს (ხმები: მართალია!).

გარეგნულადაც კი ძველ ბაქოსა და ახალ საბჭოთა ბაქოს შორის უდიდესი განსხვავება არსებობს. მე ვფიქრობ, რომ ეს გარეგნული სხვაობა ჯერ კიდევ ნაკლებად გამოხატავს იმ შინაგან განსხვავებას, რომელიც არსებობს ბაქოს, როგორც აზერბეიჯანის და თურქი ხალხის დედაქალაქისა, და მანთაშევებისა და ლიანოზოვების ძველ ბაქოს შორის. თანამედროვე ბაქო წარმოადგენს თურქი ხალხის და აზერბეიჯანში მცხოვრები ყველა ხალხის მთელი მატერიალური და ინტელექტუალური ძლიერების ცენტრს. აი რა არ ყოფილა ძველ ბაქოში და აი რა არის ახალ ბაქოში. (მქუხარე ტაში).

ვიმეორებ, ბაქოს გარეგნული სახის შეცვლა მხოლოდ ძალიან სუსტად გამოხატავს ბაქოში მომხდარ შინაგან ცვლილებებს. მე არავითარი ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ამჟამად აზერბეიჯანის 100 გლეხიდან 99 ოცნებობს და უდიდეს ბედნიერებად სთვლის ჩამოვიდეს ბაქოში, იმუშაოს ბაქოში, ნახოს ბაქო (ტაში). წინათ განა ასე იყო? ეს წინათ არ ყოფილა. თუ წინათ ბაქოში მოდიოდა თურქი, სომეხი, ქართველი, იგი მოდიოდა მხოლოდ შიმშილისგამო, მას აქეთ ერეკებოდა გაჭირვება და იგი მოდიოდა ბაქოში იმისათვის, რომ გაეყიდა თავისი სამუშაო ძალა, ჯიბე გაესქელებინა მანთაშევებისა, ლიანოზოვებისა და მრავალი სხვებისათვის, რომელთა მოგონებაც ახლა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენ (სიცილი, ტაში).

აზერბეიჯანი მარტო ნავთით როდია მდიდარი. რა თქმა უნდა, ნავთი განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ აზერბეიჯანს უდიდესი შესაძლებლობანი მოეპოვება სოფლის მეურნეობის დარგშიაც. პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქვეყნიდან აზერბეიჯანი ხდება ინტენსიური მიწათმოქმედების ქვეყანა. იგი ხდება ყველაზე მოწინავე და ყველაზე მნიშვნელოვანი ტექნიკური კულტურების ქვეყანა. სუბტროპიკული კულტურების ქვეყანა, ისეთი ქვეყანა, რომელიც ბამბის საუკეთესო ჯიშებს იძლევა. ერთი სიტყვით, აზერბეიჯანი სოფლის მეურნეობის დარგშიაც თვალსაჩინო ადგილს იკავებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ოჯახში. აი რა არის დასაფასებელი (ხმები: მართალია!).

პრიმიტიულმა მეურნეობამ უკვე მოჭამა თავისი დრო. მის ადგილს ინტენსიური მეურნეობა იკავებს. მარტო ის უკვე დიდად აჩქარებს აზერბეიჯანელი გლეხის კულტურულ ზრდას. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ აზერბეიჯანელი გლეხი თავისი კულტურული ზრდით დაეწევა ბაქოელ მუშას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ აღნიშნა აზერბეიჯანის წარმატებანი როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. 1935 წლის 15 მარტს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა დააჯილდოოს აზერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ლენინის ორდენით (ტაში, „ვაშას" ძახილი, ყველანი ფეხზე დგებიან. ამხანაგმა კალინინმა ს. მ. ეფენდიევს გადასცა ლენინის ორდენი. მქუხარე ოვაციები, ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს").

მე ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ჯილდო გახდება ახალი სტიმული თქვენს ბრძოლაში კომუნიზმისათვის, და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით თქვენ ახალი გამარჯვებებისაკენ წახვალთ (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს აზერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, რომელიც ზრდიდა აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიას და ახდენდა მის ბოლშევიზაციას! (მქუხარე ტაში, ოვაცია, ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს").

ძვირფასო ამხანაგო ვილჰელმ პიკ!

შენი სიცოცხლის სამოცი წლისთავზე ჩვენ კვლავ აღვნიშნავთ, რომ მჭიდროდ ვართ დაკავშირებული შენთან და გმირულად მებრძოლ ჩვენს გერმანიის პარტიასთან, გერმანიის პროლეტარიატის ავანგარდთან.

შენი კავშირი კომუნისტურ ინტერნაციონალთან მუდამ განსაკუთრებით მჭიდრო იყო. შენში განხორციელებულია საუკეთესო ტრადიციები გერმანიის ძველი მუშათა მოძრაობისა, რომელსაც იმდენად შეჰყურებდა ჩვენი დიდი მასწავლებელი ლენინი.

42 წელია, რაც შენ გერმანიის მუშათა მოძრაობის შუაგულში დგეხარ. შენი სიცოცხლე აღსავსეა პროლეტარიატისადმი სიყვარულითა და ერთგულებით. ახალგაზრდა დურგალი იყავი, როდესაც დაადექი კლასობრივი ბრძოლის გზას. ამ გზაზე ახლანდელამდე მოწინავე რიგებში სდგეხარ. როდესაც გერმანიის მუშათა მოძრაობაში რეფორმიზმმა გაიმარჯვა, შენ იყავი ერთი იმ გამოჩენილ მუშა ფუნქციონერთაგანი, რომლებმაც შესძლეს დაეწყებინათ თავიანთ ბრძოლაში რევიზიონიზმის წინააღმდეგ კარლ ლიბკნეხტთან, მერინგთან და როზა ლუქსემბურგთან. როცა გერმანიის მუშათა მოძრაობაში საჭირო გახდა ძლიერი ბოლშევიკური პარტიის შექმნა, გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ლენინისა და სტალინის მოძღვრების გამოყენება, შენ როგორც ამხანაგ ტელმანის ერთერთი სახელოვანი თანაშემწე პირველ რიგებში მონაწილეობდი ამ ბრძოლაში. მუშათა კლასის ყველა მტერთა წინააღმდეგ ცხარე შეტაკებებში, ნოსკესა და შეიდემანის პოლიტიკის წინააღმდეგ, მემარჯვენე ოპორტუნისტულ და ანარქისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, ყველაზე მემარცხენე ფრაზით სისუსტისა და მერყეობის წინააღმდეგ და მეტადრე ულტრა-მემარცხენე სექტანტური გადახრების წინააღმდეგ, შენ საკმაოდ დიდად შეუწყე ხელი გერმანიის პროლეტარიატის ბოლშევიკური მასობრივი პარტიის დაარსებისათვის წინაპირობების შექმნას. გერმანიის პარტიის ბოლშევიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული შენთან. [illegible] გერმანიის არალეგალური პარტიისა, რომელმაც მე-7 მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა საფუძველზე უნდა გაიკვლიოს გზა უფართოესი მასებისაკენ, მობილიზაცია უყოს მათ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და შექმნას მთლიანი და სახალხო ფრონტი. გერმანიის კომუნისტური პარტიის გმირული კადრები, რომელნიც იბრძვიან ყველაზე სისხლიანი ფაშისტური დიქტატურის პირობებში, მოწმობენ იმ დიდ შინაგან ძალას და სიმტკიცეს, რაც მოიპოვა გაბრძოლებულმა პარტიამ. პარტია უნდა ეცადოს ჩამოიშოროს და ჩამოიშორებს კიდეც პროლეტარული მთლიანი ფრონტის გზაზე მდგომ ყველა დაბრკოლებას. მან გერმანიის მთელი მშრომელი ხალხი უნდა წაიყვანოს და კიდეც წაიყვანს ძლევამოსილი ბრძოლისაკენ სისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ. მან უნდა გამოჰგლიჯოს და კიდეც გამოჰგლეჯს ტელმანსა და ყველა სხვა ანტიფაშისტურ პატიმარს მათი ჯალათების კლანჭებიდან.

ძვირფასო ამხანაგო ვილჰელმ! გერმანიის ფაშიზმის—ომის მთავარი გამჩაღებლის წინააღმდეგ ბრძოლაში გერმანიისა და საერთაშორისო პროლეტარიატს ბრწყინვალე ლაშქრად უნათებს მაგალითი შენი მამაცი მოქმედებისა მსოფლიო იმპერიალისტურ ომამდე და მის შემდეგ. შენი სიცოცხლის 60 წლისთავზე სათავეში უდგეხარ გერმანიის კომპარტიის არალეგალურ ბრძოლას იმავე ენთუზიაზმით, იმავე სიმამაცით აღსავსე, რომლითაც შენ ახალგაზრდობის ხანში იბრძოდი. და ჩვენ გამოვთქვამთ რწმენას, რომ შენ, ერთერთი იმ რევოლუციონერთაგანი, რომელთაც თავისი ბრძოლით დაამხეს ჰოჰენცოლერნთა მონარქია, იქვე გერმანიის პროლეტარიატის სათავეში მდგომი, ბრძოლით დაამხობ წყეულ ფაშიზმს და მოესწრები გერმანიის პროლეტარიატის სრულ გამარჯვებას.

დიმიტროვი,
მანუილსკი,
ერკოლი,
კუუსინენი,
გოტვალდი,
მოსკვინი,
ფლორინი,
ვან მინი,
კოლაროვი,
ლენსკი,
ოკანო,
ჰეკერტი,
ლოზოვსკი,
ბრონკოვსკი,
კონ სინი,
ტუომინენი,
მიხალი,
კელერი.

* * *

„სოციალიზმი უკვე სინამდვილედ იქცა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე"

ვენა, 2 იანვარი. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჟენევის ორგანიზაციის ორგანო „ლე ტრავაი" საახალწლო მოწინავე წერილში სათაურით „ფაშიზმისა და კაპიტალიზმის მწუხრი" ხაზგასმით აღნიშნავს იმ ღრმეს კრიზისს, რომელსაც ცალკეულ ქვეყნებში კაპიტალისტური სამყარო და ფაშისტური დიქტატურა განიცდიან, ამასთან ამ კრიზისს გაზეთი უპირისპირებს საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის და პროლეტარული დიქტატურის გამარჯვებას. „მსოფლიო პროლეტარიატი,—სწერს გაზეთი,— მით უფრო დარწმუნებულია თავის უკეთეს მომავალში, რომ სოციალიზმი უკვე სინამდვილედ იქცა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე. საბჭოთა უდიდეს ქვეყანაში სადაც სავსებით მოსპობილია უმუშევრობა და სადაც კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებულმა მშრომელმა მასებმა შექმნეს ყველაზე მძლავრი და სრულყოფილი სოციალური და ეკონომიური მანქანა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ეწოდება. ეს მაგალითი ყველა ჩაგრულსა და განაწამებს უნერგავს სიმამაცეს და ენთუზიაზმს, რაც ესოდენ საჭიროა იმისათვის, რომ გამოიბრძმედონ კაპიტალიზმის წინააღმდეგ და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში" (ტასს).

ფ. მახარაძე

თვითკრიტიკის წესით

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების გამო „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის"

ამხ. ლ. ბერიას მოხსენებამ, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, უდიდესი ინტერესი გამოიწვია არა მარტო პარტიულ მასებში. ამ მოხსენებით დიდად დაინტერესდნენ არა მარტო ამიერ-კავკასიის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ფართო მასები, უპარტიო მუშები და მშრომელი გლეხები. ძირითადად ეს შემდეგი მიზეზებით აიხსნება:

ა) როგორც ცნობილია, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები (ტფილისი, ბაქო, ბათუმი) ლენინგრადისა და მოსკოვის ორგანიზაციების შემდეგ ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთერთი უძველეს ორგანიზაციებს წარმოადგენენ. ამიტომ ამ ორგანიზაციათა ბედი, მათი წარმოშობა და განვითარება დიდად საინტერესოა ბოლშევიზმის ნამდვილი ისტორიის შესასწავლად, იმ გიგანტური ბრძოლის ისტორიის შესასწავლად, რომელიც **ლენინისა და სტალინის** კომუნისტურმა პარტიამ გასწია თავის გმირულ წარსულში.

ბ) ამიერ-კავკასიაში ბოლშევიზმის წარმოშობა და განვითარება უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი პარტიისა და ყველა მშრომელის დიდი ბელადის ამხ. **სტალინის** მუშაობასთან: იგი დაიბადა, იზრდებოდა და იბრძმედებოდა ცარიზმთან, მენშევიზმსა და სხვა წვრილბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ პარტიებთან ბრძოლაში სწორედ აქ, საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. სწორედ აქ იწყო ჩამოყალიბება პროლეტარიატის მომავალმა დიდმა ბელადმა, როგორსაც მას მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი იცნობს. ცხადია, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორია, განსაკუთრებით მათი წარმოშობისა და განვითარების დაწყების პერიოდში ყველასათვის უაღრესად მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს.

გ) თუ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა წამოაყენეს ამხ. **სტალინი,** რომელიც **მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი გახდა,** იმ დროის, როგორც ცნობილია, ამიერ-კავკასიაში მენშევიზმმაც წამოაყენა თავის წრეში ისეთი წარმომადგენლები (ჟორდანია, ჩხეიძე, რამიშვილი), რომლებიც ერთ დროს საკმაოდ თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ მენშევიკურ პარტიაში სრულიად რუსეთის მასშტაბითაც კი. ამიტომ ამიერ-კავკასიაში ადგილობრივ მენშევიკებთან ბრძოლა იყო ბრძოლა მენშევიზმთან სრულიად რუსეთის მასშტაბით. აქედან გასაგებია, თუ რატომ აქცევდა ასე დიდ ყურადღებას **ლენინი** იმ ბრძოლას, რომელსაც ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები მენშევიკების წინააღმდეგ აწარმოებდნენ. აქედან გასაგებია ის უდიდესი მნიშვნელობაც, რომელიც ბოლშევიზმის მთელი ისტორიისათვის აქვს ამ ბრძოლის ნამდვილად ასახვას ისტორიულ ნაშრომებში.

ამხ. **ბერიას** დამსახურება უპირველესად იმაში მდგომარეობს, რომ თავის მოხსენებაში ამიერ-კავკასიის ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლა მან **პირველმა დააყენა ნამდვილ ბოლშევიკურ რელსებზე.** თავის მოხსენებაში ამხ. **ბერიამ** მოგვცა ამიერ-კავკასიის ბოლშევიზმის ისტორიის შესანიშნავი ანალიზი. ამასთან ამ მოხსენებაში მან პირველმა გააშუქა ის განსაკუთრებული როლი, რომელსაც ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებში თამაშობდა ამხ. **სტალინი,** როგორც ნამდვილი ლენინელი, პროლეტარული ბრძოლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის პირველ წლებში.

თავისი მოხსენების დასაწყისში ამხ. ბერიამ აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს კომუნისტებისათვის ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლას, აღნიშნა აგრეთვე, რომ „უკანასკნელ წლებში ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა საკმაო მუშაობა გასწიეს პარტიის ისტორიის პროპაგანდისა და შესწავლის დარგში". შემდეგ ამხ. ბერია ამბობს: „მაგრამ ჩვენი მიღწევები ამ უბანზე აშკარად საკმარისი არ არის. ჩვენ განსაკუთრებით ჩამორჩენით ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის ბოლშევიკურ დამუშავებასა და შესწავლაში"...

„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს მოეპოებათ ლენინური პარტიის მშენებლობაში იმ ბრძოლის უდიდესი ისტორიული გამოცდილება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით". ამხ. ბერიას ყველა ეს მტკიცება სავსებით სწორია და სინამდვილეს შეეფერება. მართალია, რომ ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის შესწავლილი როგორც მენშევიკებთან, ისე ყველა სხვა წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ და კონტრრევოლუციურ პარტიებთან ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა გმირული ბრძოლის უდიდესი გამოცდილება, ხოლო ყველა ამ საკითხზე უკვე ძალიან მდიდარი მასალა დაგროვდა. მაშასადამე, არ არის შესწავლილი ამხ. **სტალინის** განსაკუთრებული როლიც ამ ბრძოლაში. კიდევ მეტიც უნდა ითქვას. ზოგიერთ ჩემს ძირითად ნაშრომს ამიერ-კავკასიის მუშათა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესახებ, როგორც ამას ამხ. **ლ. ბერია** აღნიშნავდა თავის მოხსენებაში, დიდი დეფექტები აქვს: ისინი შეიცავენ პრინციპულ და ისტორიულ ხასიათის მთელ რიგ შეცდომებს და, რაც კიდევ უარესია, მე პირადად დღემდე არ გადამიმუშავებია აღნიშნული ნაშრომები, არ გამისწორებია მათში დაშვებული შეცდომები. ბოლშევიკი იმიტომ არის ბოლშევიკი, რომ იგი ვალდებულია, არა თუ მიჩქმალოს და დამალოს თავისი შეცდომები, არამედ პატიოსნად და ღიად აღიაროს ისინი, ვინაიდან ამას ჩვენ გვასწავლიდა **ლენინი** და გვასწავლის ამხ. **სტალინიც.** საჭიროა საკუთარი შეცდომებისა და დეფექტების გადამჭრელი და დაუნდობელი კრიტიკა; სწორედ ასეთი კრიტიკა რაზმავს მასებს და აიძულებს მათ შეიგრძნონ საკითხის სიღრმე.

ამ ზოგადი შენიშვნების შემდეგ მე გადავდივარ ჩემს ისტორიულ ნაშრომებში დაშვებული უფრო მნიშვნელოვანი შეცდომების ჩვენებაზე.

ამხ. ლ. ბერიას თავის მოხსენებაში მოჰყავს ერთი ციტატა ჩემი წიგნიდან „ნარკვევები რევოლუციური მოძრაობისა ამიერ-კავკასიაში", რომელიც ეხება 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ყოფილ პოლემიკას. მე აქ მოვიყვან ეს ციტატა: „პარტიული მუშაკების ენერგიის დიდი ხვედრი — სამწუხაროდ იქ — ფულსა, პოლემიკასა და შინაპარტიულ ბრძოლაზე იხარჯებოდა. ყველასათვის ნათელი იყო, რომ ეს გარემოება უაღრესად ასუსტებდა და ამძიმებდა პარტიის ხელმძღვანელობას მასებში რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების მიზნით. მართლაც, უთანხმოებანი და განხეთქილება იმ დროს, როცა საჭირო იყო მისი (პარტიის) ხელმძღვანელობა რევოლუციური მოძრაობისათვის, რაც თანდათან ფართოვდებოდა, დიდ ზიანს აყენებდა საქმეს". მოჰყავს რა ეს ციტატა, ამხ. ბერია სავსებით სამართლიანად ამბობს: „ამხ. მახარაძის სიტყვით გამოდის, რომ ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლა ზედმეტი „შუღლი" ყოფილა. იგივე აფასებს ლენინის (ბოლშევიკების) ბრძოლას საერთაშორისო ოპორტუნიზმისა და რუსეთის მენშევიზმის წინააღმდეგ". მე აქ ერთი გარემოება უნდა აღვნიშნო. რამდენიმე წლის წინათ ამხ. **სტალინის** ცნობილი სტატიის — **„ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთ საკითხებზე"** — გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, მე გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ში (1932 წ. № 14) მოვათავსე სტატია სათაურით **„ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლის საკითხისათვის",** რომელშიაც, აღვნიშნავდი რა ზემოთმოყვანილ შეცდომას, შემდეგსა ვსწერდი:

„ხსენებულ ნაშრომში საკმაოდ არ ყოფილა გაშუქებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისტორია. კერძოდ, ძალიან სუსტად არის გაშუქებული ჩვენი პარტიის მე-2 ყრილობა, რომელმაც, როგორც ეს ყველამ იცის, ესოდენ დიდი როლი ითამაშა ბოლშევიზმის შეხედულებათა კონსოლიდაციაში და მით უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ რევოლუციურ მოძრაობაზე. მაგრამ „ნარკვევებში" (სამწუხაროდ არის) ერთი ადგილი (გვ. 124—125), რომელიც იძლევა საბაბს მე-2 ყრილობის მნიშვნელობის არასწორი განმარტებისათვის. აქ, მაგალითად, ლაპარაკია პარტიის გათიშვის შესახებ, რომელიც ამ ყრილობაზე მოხდა, და იმის შესახებ, რომ „ის გათიშვა ყრილობაზე არ ყოფილა მიყვანილი ბოლომდე, ვინაიდან ფორმალურად პარტია თითქოს მთლიანი იყო, ნამდვილად კი ეს მთლიანობა არ არსებობდა, შემდეგ წიგნში ნათქვამია: „ბრძოლა სწარმოებდა პარტიის შიგნით და **მასთან ყოვლად დაუშვებელი სახითა და ფორმებით.** პარტიულ მუშაკთა ენერგიის დიდი წილი ფულსა, პოლემიკასა და შინაპარტიულ ბრძოლაზე იხარჯებოდა". აქ მოცემულია იმ შიდაპარტიული ბრძოლის უტყუარად არასწორი შეფასება, ამასთან ისეთ შთაბეჭდილებას ვღებულობთ, რომ ეს შინაპარტიული ბრძოლა თითქოს უპრინციპო ბრძოლას წარმოადგენდა, რაც, რა თქმა უნდა, აშკარად არ შეეფერება სიმართლეს თუმცა იქვე, რამდენიმე სტრიქონით ზემოთ და ქვემოთ, მოცემულია როგორც მენშევიკთა, ისე ბოლშევიკთა სრულიად სწორი შეფასება. ცხადია, ზემოთმოყვანილი ფორმულირებანი უნდა შეიცვალოს და დაზუსტდეს".

ამ სტატიის დასასრულს მე ვწერდი, რომ ხსენებული ნაშრომი „**მოითხოვს გულდასმით გადასინჯვას და დაშვებული შეცდომების გამოსწორებას.** განსაკუთრებით ეს სჭირდება რუსულ გამოცემას, ვინაიდან ეს შრომები დაწერილი იყო ქართულ ენაზე და მათი თარგმნის დროს ბევრი ადგილი დამახინჯებულია. და ეს რაც უფრო მალე მოხდება, მით უკეთესი". სამწუხაროდ, ეს დაპირება მე დღემდე ვერ შევასრულე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აღნიშნული შეცდომის ნაწილობრივ გასწორებას „ნარკვევების" მეორე გამოცემაში ქართულ ენაზე.

მაგრამ როგორც ახლა ირკვევა, უფრო უხეში შეცდომა და ბოლშევიზმის პრინციპების დამახინჯება მე დავუშვი 1913 წელს ქართულ ჟურნალ „ჩვენს წყაროში" მოთავსებულ სტატიაში. ეს ჟურნალი ქ. ბაქოში გამოდიოდა.

წაიკითხე რა ამხ. **ლ. ბერიას** მიერ მოყვანილი ციტატები აღნიშნულ ჟურნალში მოთავსებული მაშინდელი ჩემი სტატიიდან, რომელიც მას შემდეგ მე სრულიად გადამავიწყდა, უნდა განვაცხადო, რომ **ჩემს მიერ იქ გამოთქმული შეხედულებები სრულიად უმართებულოა, მათ საერთო არაფერი აქვთ ბოლშევიკურ პოზიციასთან,** და მე სრულიად გულწრფელად ვაცხადებ, რომ ამხ. ლ. ბერია სავსებით მართალია, როცა ამ შეხედულებებს აკრიტიკებს, ვინაიდან მათში გამოხატულია ბოლშევიკ—ლიკვიდატორის თვალსაზრისით, შეუწყნარებელი **შემარიგებლობა მენშევიკებთან.**

არ არის სწორი და ძირეულად შემცდარია ჩემი მაშინდელი მტკიცება, თითქოს ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის განხეთქილების მთავარ წყაროს ის გარემოება წარმოადგენდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ ვერ შესძლო შეექმნა მტკიცე, ურყევი დისციპლინა. შემდეგ ძირფესვიანად შემცდარია ჩემი მტკიცება ხსენებულ სტატიაში, რომ პარტიის დაყოფა ბოლშევიკებად და მენშევიკებად უამურობაა, მაგრამ არანაკლებ შემცდარია და საერთოდ ბოლშევიზმის ნამდვილი ისტორიის დამამახინჯებელია, კერძოდ კი ამიერ-კავკასიის ბოლშევიზმისა, აგრეთვე ჩემი მტკიცება, რომ კავკასიაში ლიკვიდატორობა და ლიკვიდატორული მისწრაფებები მუდამ სუსტი იყო და ამის გარშემო აქ თითქოს არ გაჩაღებულიყოს გაფართოებული ბრძოლა, როგორც ამას რუსეთში ჰქონდა ადგილი. მე ვერაფრით ვერ ამიხსნია თუ როგორ მოხდა, რომ ასეთი უხეში შეცდომა დავუშვი, მაშინ როცა ლიკვიდატორობის ერთერთი მთავარი ბუდე იყო სწორედ ამიერ-კავკასია და განსაკუთრებით საქართველო ჟორდანიისა და ერაძის („[illegible]") მეთაურობით.

ლიკვიდატორობამ ჟორდანიას სახით მაშინ აშკარა ანტიპარტიული ხასიათი მიიღო თითქმის 1905 წლის რევოლუციის დამარცხებისთანავე. ამ შემთხვევაში დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ქართველი ლიკვიდატორების წინააღმდეგ და განსაკუთრებით ჟორდანიასა და [illegible] წინააღმდეგ, რომელიც ამ ანტიპარტიულ მიმდინარეობას მეთაურობდა, იძულებული გახდა გამოსულიყო მენშევიკი გ. ვ. პლეხანოვიც კი. როგორ მოხდა, რომ მე ათეული წლის განმავლობაში მონაწილეობას ვღებულობდი და აქტიურ ბრძოლას ვეწეოდი საერთოდ მენშევიკების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი ლიკვიდატორების წინააღმდეგ, ამასთან მუდამ ვიმყოფებოდი საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ხელმძღვანელ ორგანოებში ამხ. **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით, და სინამდვილის ასეთი დამახინჯება დავუშვი? მაგრამ რაც იყო, რასაც კალმით დასწერ, იმას ცულითაც ველარ ამოკვეთ. მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა: როგორც ამ შემთხვევამდე, ისე შემდეგაც მე მუდამ და განუწყვეტლივ ვრჩებოდი მტკიცე ბოლშევიკურ რიგებში და შეურიგებელ ბრძოლას ვეწეოდი მენშევიკების წინააღმდეგ.

შემდეგ, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის უმალვე მე მნიშვნელოვანი შეცდომა დავუშვი. საქმე შემდეგშია. იმ მნიშვნელოვან მომენტში, როცა ჩვენ, ბოლშევიკებს, ტფილისში ლეგალურად უნდა ჩამოგვეყალიბებინა ბოლშევიკური ორგანიზაცია, ბოლშევიკი სულ ორიოდე, **ორი-სამი ათეული კაცი აღმოჩნდა.** ამის გამო წამოიჭრა საკითხი: **როგორ მოვიქცეთ?** მოვაწყოთ ცალკე ორგანიზაცია, თუ დროებით შევიდეთ მენშევიკებთან საერთო ორგანიზაციაში? ამასთან მენშევიკებთან საერთო ორგანიზაციაში შესვლა ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნდა იმ აუცილებელი პირობით, რომ ჩვენი ჯგუფი არავითარ შემთხვევაში არ გაითქვიფებოდა გაერთიანებულ ორგანიზაციაში და **განუხრელად შეინარჩუნებდა თავის ბოლშევიკურ სახეს.** ე. ი. ამ „გაერთიანების" დროს ჩვენ არსებითად მენშევიკებისაგან მოვითხოვდით, რომ აღიარებინათ ჩვენი უფლებანი, როგორც ისეთი ცალკეული ორგანიზაციის უფლებანი, რომელსაც აქვს: 1) თავისი **სრულიად დამოუკიდებელი ბეჭდვითი ორგანო,** როგორც მაშინ იყო გაზეთი **„კავკაზსკი რაბოჩი",** რომელიც უკვე თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე გამოდიოდა; 2) **ჰყავს დამოუკიდებელი ბიურო** და 3) **მართავს დამოუკიდებელ კრებებს.** მენშევიკებთან ასეთ „გაერთიანებას" მე ვიცავდი ჩვენს ბოლშევიკურ კრებებზე, სადაც, ბოლოსდაბოლოს, ჩემი ასეთი წინადადება მიღებულ იქნა. მენშევიკები დასთანხმდნენ ჩვენს პირობებს და ჩვენც შევედით გაერთიანებულ ორგანიზაციაში. მაშინ ჩვენთვის ნათელი იყო, რომ „გაერთიანებულ" ორგანიზაციაში ჩვენ დიდხანს ვერ დავრჩებოდით, რომ როგორც კი ცოტას მოვღონიერდებოდით, როგორც კი გავამრავლებდით ჩვენს რიგებს, მაშინვე გამოვიდოდით იქიდან და შევქმნიდით სრულიად დამოუკიდებელ ორგანიზაციას. თავისთავად ცხადია, მენშევიკები სულ საწინააღმდეგოს ფიქრობდნენ. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენ გავითქვიფებოდით საერთო ორგანიზაციაში და დავკარგავდით ჩვენს ბოლშევიკურ სახეს. როგორც უნდა ყოფილიყო, მენშევიკებთან ასეთი გაერთიანების შემდეგაც, ჩვენ ფაქტიურად სრულიად ცალკეულ ორგანიზაციას შევადგენდით. მაგრამ ასეთი „გაერთიანებაც" ძალიან ცოტახანს გაგრძელდა — რაღაც 1½ — 2 თვეს. ვინაიდან, როგორც ცნობილია, **ბოლშევიკთა პირველი სრულიად რუ-**

ორდენოსნები



მარცხნიდან მარჯვნივ: საკავშირო ცაკის მიერ ლენინის ორდენით დაჯილდოვებულნი: **გიორგი გრიგოლაშვილი** (ლაგოდეხის მტს-ის ტრაქტორისტი), რომელმაც 1935 წელს მოხნა 944,7 ჰექტარი; **ლევან [illegible]შვილი** (აბაშის მტს-ის ტრაქტორისტი), მოხნული აქვს 968,8 ჰექტარი; შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებულნი: **არსენ მოხევი** (ულიანოვკის მტს-ის ტრაქტორისტი), მოხნული აქვს 665,5 ჰექტარი; **დავით კაკანაძე** ([illegible] რაიონის სოფ. ვარდისუბნის კომკავშირის X ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი). თავის ბრიგადაში 41 ჰექტარ პურის ნათესზე მიიღო 1141,8 ცენტნერი მოსავალი, ჰექტარზე—27,8 ცენტნერი; **ეფიმ ავდოხიევი** (ლაგოდეხის რაიონის სოფ. ჰერეთისკარის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" თავმჯდომარე), მისმა კოლმეურნეობამ 105 ჰექტარ ფართობზე მიიღო საშუალოდ 23,6 ცენტნერი ყოველ ჰექტარზე; **ვანო მინასაშვილი** (ალბულაღის რაიონის სოფ. პატარა-თონეთის კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრების" ბრიგადირი), მან თავის ბრიგადაში 36,7 ჰექტარ პურის ნათესიდან მიიღო 966 ცენტნერი, ჰექტარზე—26,3 ცენტნერი

კომბლიდან... კომბაინამდე!

(„კომუნისტის" სპეციალური ბრიგადისაგან)

ქარი რომ ღმუოდა პანტიშარის ხეობაში, სეტყვა და ქარბორბალა ასპიტის გველეშაპს ბუილებში რომ ეფეთებოდა შირაქის ველზე, ქოროღლის ცხენს ქეჩაკუხილი რომ აბალახებდა და დაფეთებული ჯეირნები ტყეში გარბოდნენ თავის შესაფარებლად, — სიცივისაგან სახე გათოშილს, ძონძებში გახვეულს, დაგლეჯილ ქალამნებიან პატარა არჩილას ხელში კომბალი ეჭირა და „ცხორის" ფარებისაკენ ერეკებოდა...

გაზაფხულის სასურველი გამთიდი რომ მოახლოვდებოდა, როცა ტოროლები მინდვრებიდან აიშლებოდნენ, ზანტად მიდუდუნე ალაზანზე გაწოლილი ნისლი ფერდობებზე აბობღდებოდა და გაპენტილი ბამბის მსგავს უზარმაზარ კუნძულებად გაიფანტებოდა ცის ტატნობზე, იქ,

„სად დიდებულნი მთანი მყინვარის
თავნი არწივნი ვერ შეხებიან,
სად წვიმა-თოვლი, ყინულად ქმნილნი
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურნი [illegible]
კაცთ [illegible] ვერ შეჰვდებია,
სად მეუფება ჰქონ-ქუხილსა,
ყინულთ და ქართა მხოლოდ
[illegible]",

აი იქ, პატარა არჩილა ფეხზე იდგა. მას ისევ კომბალი ეჭირა ხელში და დალურჯებული სახით, ჩაღამებული თვალებით შეჰყურებდა მზის ამოსვლას... და როცა დილის მზის ელვარების მოვარაყებული კავკასიონის თეთრნაბდიანი გოლიათები მთელი თავისი დიდებულობით წარმოსდგებოდნენ ხელის გულივით გატკეცილ თვალუწვდენ ველზე, — პატარა დალურჯებული არჩილა ალაზნის ჩიტას სალამურს აჟღერებდა და მის ხმაში აქსოვდა თავის მოჯამაგირულ ცხოვრების სევდასა და ვარამს.

ეს იყო წინათ და არც ისე დიდი ხნის წინათ.

სულ რამდენიმე წელია მას შემდეგ, რაც შავგვრემანმა, ალგზნებულმა კომკავშირელმა **შალიკო ალავერდაშვილმა** (დღეს სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ) ფოლადის ხარები მიუსია შირაქის გულს და შავ ბელტებად დალალა იგი. სულ რამდენიმე წელია მას შემდეგ, რაც გულშირაქში ღრიალებენ ხარხალები და გაშენდა მარცვლეულის გიგანტი, რომელიც ასი ათას ფუთობით პურს აწვდის სახელმწიფოს...

და შირაქის ველზე ტრაქტორების გუგუნის გაგონებისას პატარა არჩილამ ხელიდან გააგდო კომბალი და სევდის მომგვრელი სალამურიც...

— მასწავლეთ, მასწავლეთ! მე მინდა ტრაქტორისტი გავხდე!

— შენ ჯერ პატარა ხარ, ტრაქტორის მართვას ვერ შესძლებ, — ეუბნებიან არჩილას.

— არა უშავს, გავიზრდები. თანდათან შევისწავლი... ჯერ სხვა რამეზე მამუშავეთ — აი ეპუება არჩილა.

პირველ ხანებში არჩილას სამჭედლოში ამუშავებენ. მას „პაცანას" ეძახიან. მიდის წლები და ეს „პაცანა" იშვიათ ნიჭს და უნარს იჩენს რთულ სასოფლო სამეურნეო იარაღების დეტალების ათვისებაში. მას გზავნიან ტრაქტორისტთა კურსებზე, რომელსაც ჩინებულად ამთავრებს და მალე უკვე ტრაქტორის საჭეს იპყრობს.

თუ წინად მწყემსობისა და მოჯამაგირეობის დროს არჩილა კრთოდა და კანკალებდა ყოველი ქვეწარმავლის დანახვისას, ახლა შირაქის ველზე მისი ტრაქტორის გუგუნს დაფეთებული გაურბიან უზარმაზარი ტროპიკული გველები. მის წინაშე არა თუ გველები, არამედ ალაზნის კლდებიც კრთიან.

არჩილა „პაცანა" კი აღარ არის, არამედ ის გახლავთ კომკავშირელი, დამკვრელი ტრაქტორისტი ამხანაგი **არჩილ ლუდუშაური**. დიდი ხანია მის სახეზე წაიშალა მოჯამაგირის სევდა. მისი მთვარესავით მრგვალი სახე, მაყვალივით შავი თვალები, გაბრწყინებულია ახალი კომკავშირული ცხოვრების სხივით.

O

დრედნოუტები შემოსცურდნენ ოქროსფერ ზღვაში.

პირველად ნახა არჩილამ კომბაინი. ეს რაღაც საოცარი, ჯადოსნური მანქანა. მანქანა, რომელიც თიბავს პურის ყანას, კიდეც მკის, კიდეც ლეწავს, კიდეც ანიავებს, მარგალიტივით დასუფთავებულ მარცვლებს ხვავს ჰყრის და ჰყრის ბუნკერზე.

უნდა გახდეს კომბაინერი. — ასეთია კომკავშირელ არჩილას მტკიცე გადაწყვეტილება.

— კომბლიდან კომბაინზე! ასე ერთბაშად! — ღიმილით ეუბნებიან არჩილას ინჟინერ-მექანიკოსები.

გავიდა წელიწადი... და როცა აქათქათდა შირაქის გული, როცა დაიქარგა მისი ყანები, როცა თავთუხები გადმოიზნიქნენ მწიფე მარცვლებით დამძიმებულნი, არჩილა ლუდუშაურმაც სხვებთან ერთად შეაცურა ოქროს ზღვაში თავისი დრედნოუტი. დაატრიალა თავისი „ხედერის" ტარაბუა და დაუწყო პარსვა შირაქის ველს. წითელი დროშის ფრიალით არჩილა მოაპობდა ოქროსფერ ზღვას და მის, მზისაგან გარუჯულ, მომღიმარ სახეს მიაბრუნებდა ხან მეშტურვალისაკენ, ხან ტრაქტორისტისაკენ და ხან მზეთავისაკენ.

სადღაა მოჯამაგირე, მწყემსი „პაცანა". იგი ახლა უკვე დაკაცკაცებული, ამ ვეებერთელა აგრეგატის წინამძღოლია. ამ უზარმაზარი ხმელეთის დრედნოუტის კაპიტანია.

აი ბელადის სიტყვის ცოცხალი ილუსტრაცია: „გუშინდელი გლეხის ვაჟიშვილებისა და ქალიშვილებისაგან შევქმენით საუცხოო კომბაინერები და კომბაინერი ქალები; რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნების ნორმებს აჭარბებენ". (სტალინი).

გავიდა წლები და არჩილამ მართლაც დაამსხვრია ძველი ნორმები, ძველი კომბაინერები უკან მოიტოვა. კომბალი ჩაბარდა წარსულს, ...ას კომბაინი გაუჯდა ძვალსა და რბილში.

მართლაც რამოდენა მანძილია **კომბლიდან კომბაინამდე!?** არჩილა დღეს გახლავთ მოწინავე კომბაინერი, ჩვენი ეპოქის საპატიო ადამიანი, დაჯილდოებული საპატიო ნიშნის ორდენით იმისათვის, რომ მან შარშან ხუთმეტ დღეში 300 ჰექტარზე აიღო მოსავალი...

და ეს ყოფილი მოჯამაგირე, მწყემსი არჩილა ლუდუშაური ახლახან დაბრუნდა კრემლიდან, სადაც მას უსმენდნენ უზარმაზარი სოციალისტური ქვეყნის, მსოფლიოს ერთი მეექვსედის და მსოფლიო რევოლუციის ბედის მჭედელნი, სადაც მას უსმენდა მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი, რომელმაც ღიმილით ჩამოართვა მას ალაზნის ველიდან გამოწვდილი ხელი.

არჩილ ლუდუშაური დღეს თავის ამხანაგების შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე კომბაინერების და ტრაქტორისტების წინაშე დგას და კლუბის სცენიდან უყვება მათ ყველაფერს, რაც მან ნახა და მოისმინა მოსკოვში, მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ ქალთა თათბირზე.

არჩილ ლუდუშაურმა იცის, თუ რატომ დაავალა „ჩვენ უახლოეს მომავალში, ვთქვათ, სამი ოთხი წლის შემდეგ, სულ ცოტა 7—8 მილიარდი ფუთი მარცვლეული". მან ეს გაიგო ბელადისაგან. გაიგო და მისცა მას პირობა, რომ თუ წელს მან 300 ჰექტარზე აიღო მოსავალი, გაისად 600 ჰექტარზე აიღებს.

— კი, მაგრამ ხარ დარწმუნებული რომ შეასრულებ ამ პირობას და არ შერცხვები ბელადის წინაშე? — ღიმილით ეუბნება არჩილ ლუდუშაურს სიღნაღის პარტრაიკომის მდივანი ამხ. **არტემ წითლიძე**.

— შევასრულებ მაშ! — მტკიცედ ამბობს არჩილა და დასძენს; რასაკვირველია თქვენი და ჩემი ამხანაგების ხელის შეწყობით.

— მაინც რითი შეგიწყოთ ხელი?

— უპირველეს ყოვლისა ახლავე უნდა ვიცოდე ის ნაკვეთები, სადაც მე გაისად მოსავლის აღება მომიხდება. ეს რომ მეცოდინება, აქედანვე მივიღებ ზომებს იმისათვის, რომ ეს ნაკვეთები გაიწმინდოს სარეველა ბალახებისაგან, ქვებისა და ხერგისაგან.

— შემდეგ, — განაგრძობს ლუდუშაური, — კომბაინი, რომელზედაც მე ვიმუშავებ, მევე უნდა შევაკეთო. მე კომბაინი ჩემს ყაიდაზე უნდა გავამზადო. სხვისი ხელით შეკეთებულს ვერ ვენდობი. მევე უნდა გამოვცვალო კბილანები, [illegible] ჯაჭვის ტილოები, ტრანსპორტიორების „პლანკები", ნამჯის სანიავებელი ფრთები მევე უნდა შევავსო. მევე უნდა გადავჭიმო ხრახნები...

— კიდევ ერთი პირობა, ჩემს აგრეგატზე იგივე ხალხი უნდა მომცეთ, ვისთანაც შარშან ვმუშაობდი, მეშტურვალეც იგივე უნდა მეყოლოს. ტრაქტორისტებიც და აღმრიცხველებიც. ბევრია დამოკიდებული შეხმატკბილებულ, შეგუებულ მუშაობაზე. ერთი სიტყვით, გაისადაც ტრაქტორისტად **ნიკო კურატიშვილი** უნდა მყავდეს, ხოლო მეშტურვალედ — **მიშა ჯალიაშვილი**...

— რასაკვირველია, შეუფერხებლად უნდა მაწოდებდნენ საწვავ და საზეთ მასალას. აგრეთვე ერთი წუთითაც არ უნდა დამიგვიანონ მარცვლეულით გავსებულ „ბუნკერის" დაცლა. ტრანსპორტი თან უნდა მოსდევდეს ჩემს კომბაინს და გაივსება თუ არა ბუნკერი, მაშინვე აცალიერებდნენ.

— მარტო მე რას გავხდები, ამხანაგებო. მე თქვენ გამომზარდეთ, თქვენ მასახელეთ და თქვენი იმედი მაქვს, რომ ბელადისადმი მიცემულ პირობის შესრულებაში დამეხმარებით — ათავებს თავის სიტყვას ამხანაგი ლუდუშაური, რომელსაც შირაქის მეურნეობის მოწინავე კომბაინერები და ტრაქტორისტები მქუხარე ტაშით აცილებენ.

ზედი-ზედ გამოდიან მოწინავე კომბაინერები, ტრაქტორისტები და მექანიკოსები.

არ დარჩენილა არც ერთი მოწინავე ადამიანი შირაქის მარცვლეულის მეურნეობიდან, რომელსაც არ აეღოს თავის თავზე ახალი ვალდებულება ბელადის სიტყვასთან და მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ ქალთა დაჯილდოვებასთან დაკავშირებით.

ახალი წელი სტახანოველთა გუნდში

მხიარულად და საზეიმოდ გაატარეს ახალი წელი ტფილისელ სტახანოველებმა. 31 დეკემბერს აბრეშუმის ფაბრიკის სტახანოველ ამხ. ქეთო ჰუმბურიძეს ბინაზე (ლენინის ქ. № 11) ეწვივნენ სტახანოველი მუშები, პროფკავშირების, განსახკომის და საქ. რადიოკომიტეტის წარმომადგენლები. ახალი წლის შეხვედრა, ღამის სრულ 12 საათზე—ჩაერთეს მიკროფონი. ქეთო ჰუმბურიძეს მიესალმნენ განსახკომის წარმომადგენელი ამხ. [illegible], აბრეშუმის მრეწველობის კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ცაგარეიშვილი და სხვ. თავის საპასუხო სიტყვაში ამხ. ჰუმბურიძემ სტუმრად მოსულებს მადლობა გადაუხადა ყურადღებისათვის. იგი აღტაცებით მიესალმა მშრომელთა ახალ წელთან დაკავშირებით.

— ჩემთვის,—სთქვა ჰუმბურიძემ,—მეტად ძნელია სიტყვებით გამოხატო—თუ რა სიხარულს და ბედნიერ წუთებს განვიცდი ეხლა.

და მისი სიტყვები მიკროფონს მიჰქონდა მთელ ორდენოსან რესპუბლიკაში.

რადიოგადაცემის დამთავრების შემდეგ ქეთომ სტუმრები მიიწვია ვახშამზე. სტუმრებს შორის იყო საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. **გიორგი ყურულაშვილი**.

პირველად სტახანოველებმა ადღეგრძელეს მასპინძელი—ქეთო ჰუმბურიძე და უსურვეს მას საწარმოო ფრონტზე კიდევ ახალ გამარჯვებათა მოპოვება.

O

1 იანვარს ნაშუადღევს 2 საათზე რადიოგადაცემა მოეწყო „მეტრავის" მე-6 ფაბრიკის სტახანოველი მუშის ამხ. ვარლამ ხვიჩიას ბინიდან ([illegible] ქ. № 25). მასპინძელს მხურვალედ მიესალმნენ მეტრავეთა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ჭართველიშვილი, „მეტრავის" № 6 ფაბრიკის დირექტორი ამხ. სონია ვაშაძე, ფაბკომის თავმჯდომარე ამხ. ბერძენიშვილი და სტახანოველი მუშები. მათ აღნიშნეს, რომ წყეულ წარსულში ახალ წელიწადს ხვდებოდნენ მხოლოდ კაპიტალისტები და მდიდრები, მშრომელებს კი პურიც არ ჰქონდათ. „ახლა,—ამბობენ ისინი, — სამუშაო და სიხარულით აღსავსე ცხოვრება გვაქვს". მეტად შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა ამხ. ხვიჩიას მეუღლე [illegible], რომელმაც [illegible] სტახანოველთა სტუმრობით. მან აღნიშნა, რომ, რაც მისი ქმარი სტახანოველი გახდა, თითქმის 100 პროცენტით მეტი ხელფასი მოაქვს ოჯახში.

ამხ. ხვიჩიას 11 წლის გოგონამ ქეთომ პირობა მისცა მამას, რომ მოსწავლეობაში ფრიადებზე ისწავლის, სამაგიეროდ — მამამაც ყოველთვის სტახანოველურად უნდა იმუშაოსო... ამ საინტერესო შეჯიბრების „არბიტრად" მამა-შვილმა დაასახელეს ამხ. ხვიჩიას მეორე ქალიშვილი—ნადია. 11 წლის ქეთომ თავის სიტყვაში აგრეთვე აღნიშნა, რომ [illegible] დასახელა. სიტყვით გამოვიდა ამხ. ხვიჩია, რომელმაც აღნიშნა, თუ როგორ გახდა სტახანოველი.

რადიოკომიტეტმა მოაწყო კონცერტი ამხ. ხვიჩიას და სხვა სტახანოველთა მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით. [illegible] — [illegible], მრავალხმიანი ქალთა ანსამბლი და [illegible] შესრულებით.

[illegible] გაშლილი იყო სუფრები ამხ. ხვიჩიამ მათთვის გამართა სადილი.

[illegible] ამხანაგური სადილი [illegible] ამხ. ხვიჩიას შვილი ნადია პიანინოზე უკრავდა, [illegible], ოჯახის სხვა წევრები და სტუმრები კი ცეკვავდნენ. ლეკურის თამაშით მამა ასახელა მესამე კლასის მოწაფემ ქეთომ.

სტახანოველი ქალი ამხ. ჰუმბურიძე ახალწლის განსახკომმა დააჯილდოვა პატეფონით. ამხ. ხვიჩია პატეფონით აგრეთვე დააჯილდოვეს. და ამ პატეფონის ხმაც ერთვოდა სტუმარ-მასპინძელთა საერთო მხიარულებას...

ვ. ჯავახიშვილი.

სანდრო ეული

შავ ოქროს ქალაქს

[illegible] აზერბაიჯანის 15 წლისთავის აღსანიშნავად მოწყ. [illegible] ბაქოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც შენი შადრევანი,
ასე ჩემი ლექსი,
ჩქეფს გულიდან მონახეთქი,
გრძნობით მონაქედი,
და ეს ლექსი შენ მოგიძღვენ
დედავ ოლდა ექსის,
ვისაც აგრე მშობლიურად
აწოვებდი მკერდით...

⁂

ჩამოდენი ტანჯვა ძველად
მეხით თავს დაგეცა,
გაწეწამა და დაგათოვა
დრომ მრისხანემ მტრულად,
არ გწყალობდა დაფარული
შავ ღრუბლებით ზეცა,
მაგრამ მაინც ბნელში წინსვლა
ვერ გაკრთობდა გულადს.

⁂

დღეს შენთან ვარ. მოგიტანე
სიყვარული გულით,
რომ მიზრდავს შავ დროიდან
ათეული წლებით,
შენთან ყოფნით საოცნებო
მქონდა დასახული,
[illegible] და
გულში ცეცხლის ნთებით.

⁂

ო, რას ხედავს ეს თვალები?
როგორ ტოკავს გული?
ჩვენო ბაქო, [illegible]
ტანთსაცმელი ძველი,
შენს თვალებში ჩამდგარია
ცეცხლი სიხარულის,
რომ ბრძოლის გზა გაიარე,
გასავლელი ძნელი...

⁂

შენს გარშემო ნავთის კოშკებს
ტყე დაუდგამს შავი,
შენს გარშემო ველებია
ბამბით დაფარული, —
დღეს ეს მხარე ზეიმშია, —
მტერი ბრაზობს ავი, —
გაქრობია ძველი სახე
ტანჯვით დაღარული.

⁂

როგორც შენი შადრევანი
ისე ჩემი ლექსი,
შენ გეკუთვნის, ჩვენო ბაქო,
დედავ ოლდა ექსის...

ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა გეგმა

30 დეკემბერს, სად. 7 ს., რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიხსნა საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ ტყავ-ფეხსაცმელის მრეწველობის საწარმოთა სამეურნეო, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სტახანოველთა შეკრება 1935 წლის გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებასთან დაკავშირებით.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. **გიორგი ყურულაშვილი**.

შეკრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქ. ადგ. მრეწველობის სახკომის მოადგილემ ამხ. **[illegible]ცოვმა**.

ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობაში 1935 წლის გეგმის შესრულების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის სამმართველოს უფროსი ამხ. **გარდავა**, რომელმაც დაახასიათა ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაობა 1935 წელს და აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

— საქართველოს ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობამ — ამბობს მომხსენებელი — 25 დეკემბრისათვის გაერთიანებათა ხაზით პირველმა შეასრულა წლიური გეგმა ვადაზე 6 დღით ადრე და 112 პროცენტით. იმატა მუშათა ხელფასმა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გამოვლინდნენ სტახანოველები, შედარებით შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. რამოდენიმედ გაუმჯობესდა ხარისხი, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს, განსაკუთრებით პროდუქციის ხარისხისა და თვითღირებულების მხრივ.

ამხ. გარდავას მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ: ამხ. **ხერუმოვი, ჯაშიაშვილი, ახათიანი, მურადოვი, ავოიანი, აზროიანი** და სხვები. შეკრებაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. **გ. ყურულაშვილი**.

ამხ. ყურულაშვილმა მიულოცა ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაკებს 1935 წლის გეგმის პირველად ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულება.

— 1935 წლის მიღწეულ წარმატებებს თუ შევადარებთ გასული წლის მაჩვენებლებს, — სთქვა მან — დავინახავთ, რომ 1935 წელს დიდი მიღწევები გვაქვს. ეს გამარჯვება იმით აიხსნება, რომ ჩვენმა სამეურნეო მუშაკებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მუშათა კოლექტივმა მაგრად მოჰკიდეს ხელი საქმეს, გააუმჯობესეს მუშაობა, ახლებურად მოაწყეს შრომის პროცესები. მაგრამ ამით დაკმაყოფილება რასაკვირველია, არ შეიძლება. ჩვენ 1936 წელს 2-3-ჯერ უნდა გავზარდოთ პროდუქცია; ამიტომ საჭიროა არსებული მიღწევების შენარჩუნება და განვითარება. ჩვენ გვიმარჯვებთ იმიტომ, რომ გაიშალა სტახანოვური მოძრაობა. გვყავს ბევრი სტახანოველი, მაგრამ არც ეს კმარა. ეს მოძრაობა კიდევ უფრო უნდა გავაფართოვოთ, ავამაღლოთ მათი სტახანოველთა ტექნიკური ცოდნის დონე, დავეხმაროთ მათ. ეს უდიდესი მოძრაობა, რომელიც ქვევიდან დაიწყო, უნდა გადავაქციოთ მასობრივ მოძრაობად. ეს საწინდარი იქნება იმისა, რომ 1936 წლის ბევრად უკეთესი მაჩვენებლებით მოვალთ ჩვენს შეკრებაზე.

★

შეკრებამ სხვადასხვა ნაწარმით დააჯილდოვა 50 საუკეთესო სტახანოველი.

დასასრულ მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს** და ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა სტალინურ ხელმძღვანელს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას**.

ხეთის ლეგალური კონფერენციის შემდეგ, რომელიც 1917 წლის აპრილში გაიმართა და რომელზედაც მე, ტფილისის ბოლშევიკების მიერ ვიყავი გაგზავნილი, ჩვენ გამოვედით „გაერთიანებული" ორგანიზაციიდან და უკვე **ფორმალურადაც** შევქმენით ცალკეული დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რაც გამოქვეყნებულ იქნა „კავკაზსკი რაბოჩიში" — 1917 წლის მაისის შუა რიცხვებში.

ამ დროისათვის ბოლშევიკთა ტფილისის ორგანიზაციაში უკვე ირიცხებოდა **პარტიის** ასანაკლებ **400 წევრი**. ამგვარად, ტფილისის ბოლშევიკები, რომლებიც 1917 წლის მარტში მენშევიკებთან საერთო ორგანიზაციაში შევიდნენ, სრულიადაც არ გათქვეფილან მასში და მათ თავისი რიგების საგრძნობი გაძლიერებაც კი შესძლეს. და ეს იმიტომ მოხდა, რომ მენშევიკებთან ერთ ორგანიზაციაში ფორმალურად ყოფნის დროს ჩვენ განვაგრძობდით აგიტაციას მენშევიკების წინააღმდეგ, დაუნდობელ ბრძოლას ვეწეოდით მათთან და სისტემატურად ყოველ ნაბიჯზე, ვამხელდით მათ, როგორც რევოლუციის მოღალატეებსა და მშრომელი მასების ინტერესების გამცემლებს.

მაგრამ ახლა, როცა ობიექტურ შეფასებას ვაძლევთ იმ ნაბიჯს, რომელიც ჩვენ მაშინ გადავდგით, თუნდაც ფორმალურად, თუნდაც პირობითად, შევედით რა მენშევიკებთან საერთო ორგანიზაციაში, ეს ნაბიჯი უსათუოდ არასწორად და შემცდარად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ამით ჩვენ **ვარღვევდით ბოლშევიზმის ორგანიზაციულ პრინციპებს და პრაგის კონფერენციის დადგენილებას**. ამასთან ჩვენ ვსდგამდით ძალიან სახიფათო ნაბიჯს, რომელიც შეიძლებოდა ბოლშევიკური ძალების დასუსტებით დამთავრებულიყო. და თუ ეს არ მოხდა, ეს იყო ტფილისის ბოლშევიკთა იმ **სიმტკიცისა** და პრინციპული **გამობრძმედილობის** შედეგი, იმ თვისების შედეგი, რაც მუდამ ახასიათებდა ტფილისელ ბოლშევიკებს, რომლებმაც ჯერ კიდევ წარსულში კარგად შეითვისეს ამხ. **სტალინის** ბრძოლის ბოლშევიკური მეთოდები.

მაგრამ ყველაზე უფრო სერიოზული შეცდომა მე დავუშვი **ამიერ-კავკასიის ფედერაციის** საკითხში (1922—1924 წლებში). არსებითად ჩემი პოზიცია ამ საკითხში ძირეულად შემცდარი იყო, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ იგი, ეს პოზიცია, ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ლენინურ-სტალინური პარტიის ინტერნაციონალურ პოლიტიკას.

ამგვარად, მე ოპოზიციაში ჩავუდექი ბოლშევიკურ პარტიას და აშკარად ვილაშქრებდი მისი ნებასურვილის წინააღმდეგ. მე ვერ გამოვიყვანე სათანადო დასკვნები **ვლადიმერ ილიას ძე ლენინის** მიერ აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებისათვის მიწერილი წერილიდან, რომელშიაც იგი სწერდა: **„მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, მე ნებას მივცემ ჩემს თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს გაუგონარი და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუშს"**. მე თავის დროზე ვერ გავითვალისწინე ხალხთა უდიდესი მასწავლებლისა და ბელადის ამ წინასწარმეტყველური სიტყვების აზრი და მნიშვნელობა. სწორედ ასეთივე დამოკიდებულება გამოვიჩინე მე ამხ. **სტალინის** ბრძნული რჩევა დარიგებისა და წინადადებებისადმი. ბოლოსდაბოლოს, ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში, ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხში, მე სრულიად დავშორდი კომუნისტური პარტიის სრულიად სწორ ხაზს, აგრეთვე საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა დიდი უმრავლესობის აშკარად გამოთქმულ ნებასურვილს. როგორც ცნობილია, ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ პარტიის დადგენილებათა წინააღმდეგ მიმართულმა ამ ბრძოლამ **ნაციონალ-უკლონისტთა** ჯგუფის მხრივ უაღრესად მწვავე, პირდაპირ ანტიპარტიული ხასიათი მიიღო. ამ გაფართოებული ბრძოლის პროცესში პირადად ჩემთვის ნათელი გახდა, რომ შემდეგში იმ გზით სიარული, რომლითაც ჩვენ მივდიოდით, ნიშნავდა პარტიის გარეთ დარჩენას. საჭირო იყო მაგარი ბიძგი, რომ ჩვენ გონს მოვსულიყავით და როცა ჩვენ პარტიამ წესრიგისაკენ მოგვიწოდა, მე უყოყმანოდ აღვიარე ჩემი შეცდომა და ეს მაშინვე განვუცხადე ამხ. **სტალინს** (1924 წლის მარტს). ხოლო ტფილისში დაბრუნების შემდეგ ამის შესახებ მე საჯარო განცხადება გავაკეთე ტფილისის პარტიულ ორგანიზაციებზე, რომელსაც ამხ. **სერგო** ორჯონიკიძეც დაესწრო.

ამის შემდეგ მე გადაჭრით [illegible] და ერთხელ და სამუდამოდ ჩამოვშორდი **ნაციონალ-უკლონიზმს**. მას შემდეგ საკმაო დროის [illegible], მაგრამ ძველი შეცდომების გახსენება არასოდეს არ არის ზედმეტი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი დიდ შეცდომებს ეხება, როგორც მაგალითად, ამ შემთხვევაში. ეს საჭიროა არამარტო ისტორიისათვის, არამედ მას უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვს მასების პოლიტიკური აღზრდისათვისაც. მასები უნდა იცნობდნენ ამ ისტორიას და ამ მხრივ ამხ. **ლ. ბერიას** მოხსენებას, რომელშიაც კვლავ გაშუქდა ეს საკითხი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ახლა შევეხოთ **ამხ. სტალინის როლს ამიერ-კავკასიაში**. აქ საკითხი ასე დგას: როგორ არის გაშუქებული ეს როლი, **ბელადის როლი ჩემს ისტორიულ ნაშრომებში?** ამის შესახებ საკითხი უკვე იდგა საქართველოს კომპარტიის მე-9 ყრილობაზე, ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა მე-7 ყრილობაზე 1933 წლის დამლევს და 1934 წლის დამდეგს და მაშინ ეს საკითხი პირველად დააყენა ამხ. **ლ. ბერიამ**; ამ ორივე ყრილობაზე იგი სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ როგორც ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობა, ისე ბოლშევიზმის ისტორია უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული ამხ. **სტალინის** მუშაობასთან და სახელთან. ამავე დროს, — ამბობდა იგი, — ამხ. **მახარაძის** ყველა ნაშრომში („ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ნარკვევები", „საქართველოს მუშათა მოძრაობის ნარკვევები", „საბჭოები და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა საქართველოში") **არსად ერთი სიტყვითაც არ არის მოხსენებული ამხ. სტალინის როლი**". ყრილობაზე მე უყოყმანოდ აღვიარე ყოველივე ეს, როგორც ხსენებულ ნაშრომებში ჩემ მიერ დაშვებული უაღრესად უხეში შეცდომა და არც შემეძლო არ აღმეარებინა, ვინაიდან ყველაფერი ჩემზე ნათქვამი სავსებით მართალია. მაშინ ყრილობას დავპირდი, რომ გამოვასწორებდი ყველა ამ შეცდომას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩემი დაპირება დღემდე არ შემისრულებია. მართალია, ამ ხნის განმავლობაში მე თითქმის ხელახლა გადავაკეთე ჩემი ერთიერთი ნაშრომი, სახელდობრ **„საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიის ნარკვევები"** და მოვამზადე იგი დასაბეჭდად. მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე მე ვერ შევძელი, რომ იგი დამებეჭდა.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ყოველივე აქედან? რასაკვირველია, მხოლოდ ერთადერთი სახელდობრ: ხსენებულ ნაშრომებში ჩემს მიერ დაშვებულია უაღრესად უხეში შეცდომა, ვინაიდან ამ ნაშრომებში ქვე სრულიად არ აღმინიშნავს ამხ. **სტალინის როლი, როგორც საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ბოლშევიზმის ფუძემდებლისა და როგორც 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელისა.**

ასეთია საქმის ვითარება ჩემი ძირითადი ნაშრომების მიმართ ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესახებ და, უწინარეს ყოვლისა, ამ მოძრაობაში ამხ. **სტალინის** განსაკუთრებული როლის გაშუქების მიმართ. მაგრამ, მეორე მხრივ, სხვადასხვა დროს დაწერილ მთელ რიგ ჩემ სტატიებსა და ცალკე ბროშურებში მე, ჩემი ძალღონისა და შეძლების დაგვარად, ვცდილობდი გამეშუქებინა ამხ. **სტალინის** ეს როლი.

ასე, მაგალითად, ამხ. სტალინის 50 წლისთავის გამო დაწერილ სტატიაში (1929 წლის 21 დეკემბრის „ზარია ვოსტოკა"), სადაც აღნიშნული, რომ 50 წლისთავს ამხ. სტალინი ხვდება საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის — პარტიის ბელადის პოსტზე, მე სხვათა შორის ვამბობდი:

„ცნობილია, რომ ამხ. სტალინმა (ი. ბ. ჯუღაშვილმა) რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო ჩვენში, ტფილისში, რომ იგი ერთბაშად მიემხრო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას მუშათა შორის...

„მაშინდელი დროის მის მუშაობაზე მე შემიძლია ვთქვა შემდეგი: **იგი მთელი არსებით რევოლუციურ საქმეში ჩაება, ეწეოდა რა პროპაგანდასა და აგიტაციას ტფილისის მუშებს შორის, იგი თითქოს შეედუღა ამ მუშაობას"**. და შემდეგ: **„ამხ. სტალინი**, ანუ კობა, ძალიან მალე გახდა **ერთიერთი ყველაზე პოპულარული და საყვარელი ბელადი ტფილისის, ბათომის, ჭიათურის, ქუთაისის, ხაშურის, ხოლო შემდეგ ბაქოს მუშებს შორის**. ამ ქალაქების ყველა ძველ მუშას კარგად ახსოვს ამხ. კობა და მისი დაუღალავი რევოლუციური საქმიანობა, რამაც ყველგან ღრმა კვალი დასტოვა".

შემდეგ პარტიის მე-2 ყრილობის გამო დაწერილ სტატიაში („პროლეტარსკაია რევოლიუცია". 1933 წ. № 2), როცა ბათომის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნაზე ვლაპარაკობდი, მე სხვათა შორის ვწერდი: „1901 წლის დამლევს ბათომში იგზავნება ამხ. **სოსო ჯუღაშვილი** (სტალინი), რომელიც ბათომის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ფუძემდებელი გახდა. ბათომში არსებულმა მუშათა არალეგალურმა წრეებმა გადაიღეს მას ამოცანა—თითქმის ერთბაშად მოეკიდნა ხელი მუშაობისათვის. მოწვეულ იქნა როტშილდის, მანთაშევის, სიდერისის და სხვ. ქარხნების მუშათა წარმომადგენლების ვიწრო კრება. ამ კრების ერთიერთი მონაწილე — [illegible] კოტრიკაძე ასე გადმოგვცემს ამხ. **სოსოს** გამოსვლას ამ კრებაზე: „ამხანაგებო, მე თქვენთან გამომგზავნეს ტფილისელმა მუშებმა, რათა მოგელაპარაკოთ თქვენ. როგორც იცით, ტფილისის მუშებმა უკვე გამოიღვიძეს და ემზადებიან თავიანთ მტრებთან საბრძოლველად. ბათომის მუშებს კი ჯერ კიდევ მშვიდად სძინავთ. მე მოგიწოდებთ თქვენ მიჰბაძოთ ტფილისის მუშების მაგალითს და მათთან ხელიხელჩაკიდებული წარუძღვეთ საერთო მტრების წინააღმდეგ".

ამ მუშის სიტყვით, ამხ. სოსოს გამოსვლამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა კრების მონაწილეებზე. ბათომის მუშებმა პირველად გაიგონეს ასეთი სიტყვები. ამ კრებაზე გადაწყდა დაეწყოთ სისტემატური მეცადინეობა მუშათა წრეებში, რათა მუშათა წრიდან შეექმნათ პროპაგანდისტთა და აგიტატორთა პატარა კადრი"... შემდეგ იქ ნათქვამია, თუ როგორ ხელმძღვანელობდა ამხ. **სტალინი** ბათომის მუშათა გაფიცვებს, როგორ მოაწყო მან ბათომში [illegible] სტამბა და სხვ. და, ბოლოს, მე-3 ყრილობის 30 წლისთავის გამო დაწერილ, მაგრამ გამოუქვეყნებელ სტატიაში, ვიხილავდი რა ამხ. სტალინის როლს ამ პერიოდში, მე ვწერდი: „საკმაოდ უცნაურად მოგვეჩვენება ახლა ის ფაქტი, რომ მე-3 ყრილობაზე ამიერ-კავკასიის დელეგაციის შემადგენლობაში არ სჩანდა ამხ. სტალინი, რომელსაც ყოველგვარი საფუძველი ჰქონდა ყოფილიყო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დელეგატი ამ ყრილობაზე. მაგრამ საქმე ის არის, რომ **ამ მომენტში ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა ამხ. სტალინი მოეშორებინათ ადგილიდან პარტიული მუშაობისათვის.** ცნობილია, რომ მენშევიკებმა სწორედ ამ დროს დაიწყეს გათითოებული იერიშები ჩვენი ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ; ამ მიზნით ისინი აქ თავს უყრიდნენ მთელ თავის ძალებს, მთელ თავის თვალსაჩინო მუშაკებს. ყოველივე ამის გამო ამხ. **სტალინი** პარტიის ინტერესების სასარგებლოდ უნდა დარჩენილიყო ამიერ-კავკასიაში, მიუხედავად იმისა, რომ მის მონაწილეობას ყრილობაზე უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა".

ამხ. **სტალინის**, როგორც **მარქს-ენგელს-ლენინის საქმის** დიდი და გენიალური განმგრძობის გიგანტური როლის შესახებ ძალიან მოკლედ არის ლაპარაკი ჩემს ბროშურაში **„ათი წელი ულენინოდ ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით"**. მე ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო აქ მხოლოდ ერთი ციტატა ამ ბროშურიდან: „იგი (ამხ. სტალინი)—ნათქვამია იქ—**ნამდვილი დიდი ბელადია**... რაც უმთავრესად ახასიათებს სტალინს,—ეს არის მისი **შემოქმედებითი მიზანსწრაფვა**, შეერთებული მის დიდის ორგანიზატორულ ნიჭთან. მას არ შეუძლია შეჩერდეს და მით უმეტეს დამშვიდდეს მიღწეულ წარმატებაზე; მისთვის **ყოველგვარი ახალი წარმატება—ეს მხოლოდ სტიმულია შემდგომი, კიდევ უფრო დიდი წარმატებებისათვის**. უფრო კი ეს არის ახალი ბაზა, რომლიდანაც დაჟინებით პარტია უნდა [illegible] შემდგომ წარმატებებს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის. **სტალინი** ლენინის გარდაცვალების შემდეგ განაგრძობს ლენინის მიერ დაწყებულ საქმეს"...

მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე ამას მე ვწერდი ეპიზოდურად, ცალკე სტატიებში, ხოლო რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ძირითად ნაშრომებში ყოველივე ამაზე სიტყვაც არ არის ნათქვამი. ეს შეუწყნარებელია: სწორედ ამაში მდგომარეობს ყველაზე მთავარი და [illegible] შეცდომა. ეს ნაკლი, ეს ხარვეზი ჩემს ისტორიულ ნაშრომებში მე ვიგრძენი განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით ამხ. **ლ. ბერიას** მითითებათა შემდეგ.

და ამიტომ, როცა მე 1934 წლის დამლევს წინადადება მომცეს დამეწერა სტატია **1905—1907 წ.წ. ბაქოს ორგანიზაციაში ამხ. სტალინის როლის შესახებ**, მე უდიდესი სიამოვნებით მოვკიდე ხელი ამ სამუშაოს. მაგრამ როცა მასალის შეგროვებას შევუდექი, დავრწმუნდი, რომ საჭირო იყო ამ თემის საგრძნობლად გაფართოება, როგორც წარსულის, ისე შემდგომი პერიოდის შესახებ, ე. ი. [illegible] დაახლოებით დაწყებული მე-19 საუკუნის დამლევიდან 1909—1910 წლებამდე. სწორედ ეს არის ის პერიოდი, რომელსაც მიეკუთვნება ამხ. **სტალინის** რევოლუციური მოღვაწეობა ამიერ-კავკასიაში. მაგრამ ჩემზე დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, მე დროებით უნდა შემეწყვიტნა დაწყებული მუშაობა.

თავისთავად ცხადია, მე უნდა შევასრულო ეს დიდი სამუშაო და კიდეც შევასრულებ მას ყოველ [illegible] გარეშე. მაგრამ ამავე დროს მე უნდა შევასწორო და სათანადოდ გადავამუშავო ჩემი ძირითადი ნაშრომები ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესახებ.

თავის ისტორიულ მოხსენებაში ამხ. **ლ. ბერია** შეეხო ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმოშობისა და განვითარების მთელ უდიდეს პერიოდს; ამასთან ამ ორგანიზაციების ისტორია მან მჭიდროდ დაუკავშირა ჩვენი პარტიის ბელადის— ამხ. **სტალინის** მუშაობასა და მოღვაწეობას.

ამხ. **სტალინი** გამოიზარდა და რევოლუციონერი, მარქსისტი გახდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის განსაზღვრული საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის დროს, ისეთ პირობებში, როცა ნახევრად-ფეოდალურ და ნახევრად-ბატონყმურ რუსეთში სწრაფად ვითარდებოდა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ურთიერთობანი. ამ დროს საქართველო რუსეთის იმპერიალიზმის კოლონიას წარმოადგენდა და მისი მშრომელები ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ, როგორც „თავიანთი" ექსპლოატატორებისაგან, ისე რუსის დამპყრობლებისაგანაც: მოხელეების, ვაჭრების, [illegible], მექარხნეების და სხვათა სახით.

ამხ. **სტალინმა**, რომელიც საქართველოს და ამიერ-კავკასიის მრავალეროვანი მოსახლეობის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავდა, თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისშივე [illegible] ბრძოლა გამოუცხადა როგორც მეფის თვითმპყრობელობას, ისე მაშინ გაბატონებულ ყველა საზოგადოებრივ კლასს (თავად-აზნაურობას, კაპიტალისტურ ბურჟუაზიას და სხვ.).

ამ დროიდან იწყება საქართველოს და ამიერ-კავკასიის ახალი ისტორია, რომელშიაც მშრომელთა პროლეტარიატის [illegible] ბელადმა ამხ. სტალინმა ყველაზე [illegible] ფურცლები ჩაწერა.

◆

1935 წლის ანგარიშების საბალანსო კამპანიის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

1935 წლის ანგარიშების საბალანსო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატს, უწყებას და სამეურნეო შენაერთს, რომლის გამგებლობაშიაც არიან სამეურნეო ანგარიშის მქონე სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ორგანიზაციები:

ა) არა უგვიანეს 1936 წ. იანვრის 3-ისა, წინა წლების მაგალითისამებრ, მოაწყოს საბალანსო კომისიები და გაშალოს მუშაობა 1935 წლის ანგარიშების საბალანსო კამპანიის ჩასატარებლად;

ბ) არა უგვიანეს 1936 წ. იანვრის 5-ისა დაადგინოს იმ სამეურნეო ორგანოების ზედმიწევნითი სია, რომელთა ბალანსებიც 1935 წლამდე განხილულ უნდა იქნეს, და მიამაგროს ცალკეულ ორგანიზაციებს პასუხისმგებელი მომუშავენი, რომელნიც პასუხს აგებენ როგორც ანგარიშების სასწრაფოდ წარდგენისა, ისე ამ ანგარიშების თვისებისათვის.

გ) არა უგვიანეს 1936 წ. იანვრის 7-ისა განსაზღვროს ანგარიშების განხილვის საკალენდრო ვადები და მტკიცედ იხელმძღვანელოს ანგარიშების წარდგენისათვის სათანადო უწყებების ხაზით დადგენილი ვადები.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) 1936 წ. იანვრის 10-მდე შეამოწმოს კომისარიატებისა, უწყებებისა და სამეურნეო შენაერთების მზადყოფნა საბალანსო კამპანიისათვის და შემოწმების შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

ბ) არა უგვიანეს 1936 წ. იანვრის 10-ისა მოაწყოს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად, ტფილისში საფინანსო-საბანკო და სამეურნეო ორგანოების მუშავეთა კონფერენცია და მოისმინოს მოხსენება ახალი საბალანსო კამპანიის ამოცანების შესახებ.

3. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს:

ა) არა უგვიანეს 1936 წ. იანვრის 5-სა მოაწყონ საბალანსო კომისიები და დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა 1935 წ. ანგარიშების საბალანსო კამპანიის ჩასატარებლად;

ბ) სისტემატურად მოისმინონ საბალანსო კომისიების მოხსენებანი და უზრუნველყონ ყველა სამრეწველო, სავაჭრო, კომუნალური და კოოპერაციული საწარმოს და ორგანიზაციისა და სოციალურ-კულტურული დაწესებულების საბალანსო კამპანიაში სავსებით ჩაბმა და წლიური ანგარიშების მაღალხარისხოვანი ანალიზი.

4. ფართოდ იქნეს გაშუქებული ბეჭდვითს ორგანოებში, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ საბალანსო კამპანიისათვის საჭირო მუშაობის მსვლელობა და ბალანსების ანალიზის შედეგები.

5. საბალანსო კამპანიის შედეგები მოხსენდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს არა უგვიანეს 10 დღისა საბალანსო კომისიის მიერ უკანასკნელი ანგარიშის განხილვის დღიდან.

6. საბალანსო კამპანიის შედეგები დამუშავებულ იქნეს მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს — საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის ყველა უხეში დარღვევა, რაც გამოირკვევა ცალკეული წლიური ანგარიშის განხილვის პროცესში, დაუყოვნებლივ, საბალანსო კამპანიის დამთავრებამდეც, აცნობოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

8. მიენდოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს — მტკიცე თვალყური ადევნოს ამ დადგენილების ასრულებას და ყოველგვარი გადახრა მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ა. ქავთარაძე

1936 წ. იანვრის 2
ტფილისი.

□ □ □

დისკუსია პოეზიის საკითხებზე

პოეზიის საკითხებზე საკავშირო მწერალთა კავშირის მომავალ პლენუმთან დაკავშირებით მწერალთა სასახლეში გაიმართა დისკუსია ქართული პოეზიის მდგომარეობის შესახებ.

სიტყვა შესავალი სიტყვებით გახსნა საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარემ **დ. დემეტრაძემ**. [illegible] „პოეზია მწერალთა საკავშირო ყრილობის შემდეგ".

ყრილობის შემდგომი პერიოდი ქართული პოეზიისათვის [illegible], როგორც შემოქმედებითი აღმავლობის ხანა, მაგრამ [illegible] უკან რჩება სოციალისტურ სინამდვილეს.

ტ. ტაბიძემ მოგვცა ერთი ლექსი **„რიონიდან სამშობლოსათვის"**. ლექსი თემატიურად საესებით ახალია და მასში არის მთელი რიგი ადგილები იდეურად და პოეტურად გამართული. მაგრამ ძველი შემოქმედებითი მეთოდი, სიმბოლისტური ტრადიცია, რომელიც [illegible] ხელს ტ. ტაბიძის შემოქმედებითს განვითარებას, ამ ლექსშიც გამომჟღავნდა.

მაგრამ როდესაც სიმბოლიზმის უარყოფითი ტრადიციების შესახებ ვლაპარაკობთ, ეს არ შეეხება მარტო ტ. ტაბიძეს. მის გამომხატველებას ჩვენ ვხვდებით სხვა პოეტთა შემოქმედებაშიაც. **ვ. გაფრინდაშვილის** უკანასკნელი ლექსები: „ჩემი მეზღვაური ფეხბურთელი", „ქალღმერთა თეატრის შესახვევში", „ქუთაისი", „ვაგა და ფირუზმანი" და სხვა დამძიმებულია დეკადენტური აქსესუარებით. გაფრინდაშვილმა უკანასკნელ ხანებში გამოაქვეყნა სხვა ლექსებიც „ჩემი სამშობლო" და სხვ., რომლებიც წარმოადგენენ ახალ თემატიკას, დამუშავებულს რეალისტურ მხატვრულ ფორმებში.

არიან პოეტები, რომელთათვის ძნელი ხდება ვიწრო თემების [illegible] გამოსვლა. **ალ. აბაშელი** და **ი. მოსაშვილი** განსაზღვრული თემებით მოვიდნენ რევოლუციასთან და მასვე შეჩვენ. ი. მოსაშვილმა პოემა „კობა ჩოხელით" სცადა ახალ ადგილზე გზის შეძენა, მაგრამ შემდეგ ის ისევ ძველ თემატიურ რკალს დაუბრუნდა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ერთადერთი ლექსი ბელორუსიაზე. მოსაშვილი პრინციპულად მიჰყვება მეტად პოეზიის გზას. იგი სცდება, როდესაც ფიქრობს, რომ პოეტს გარდა ემოციონალობისა არაფერი სჭირდება. მოსაშვილი ივიწყებს იდეურ მომენტს. აყენებს მას უკანა პლანზე. რაც შეუწყნარებელია.

აღსანიშნავია, რომ ოოლ და გატკეპნილ ძველ გზას მიჰყვებოდა ზოგიერთი პროლეტარული პოეტიც. **ი. აბაშიძემ** გამოაქვეყნა ლექსი „[illegible]" სადაც ის „მავი ოქროს" მაგიერ [illegible] ფილერის ჟურნალ ხარებს. ეს დაბრუნებაა იმ ხაზთან, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე გაჩვენა ჩვენმა პოეზიამ.

ქ. კალაძე შერჩა აღწერითი პოეზიის გზას. რაც არ იძლევა იდეურად ღრმა, პოლიტიკურად მახვილი ნაწარმოების მოცემის საშუალებას. ეს უმრავლეს პასიური ხედვა სინამდვილისა. ქ. კალაძე ვერ გვაძლევს მაღალის ნამდვილ მხატვრულ გამოხატულებას. სქემატიზმი და სტატიკურობა უფრო და უფრო დამახასიათებელი ხდება მისი შემოქმედებისათვის. ლექსი „იმერული მოთხრობა" ამის საუკეთესო მაჩვენებელია.

საბჭოთა პოეზიამ უნდა ახასიათებდეს თემატიური ფართობრივი და სტილური მრავალფეროვნება. ცდებიან ისინი, რომლებიც ებრძვიან ლირიკას. ნამდვილი ლირიკა, რომელიც საბჭოთა პოეზიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, თანდათან ვითარდება. ამის მაგალითს წარმოადგენს **გ. ტაბიძე**.

გ. ტაბიძემ ახლახან გამოსცა ლექსების წიგნი, რომელიც შეიძლება ითქვას წარმოადგენს მთელ ლიტერატურულ მოვლენას. იგი საშუალებას გვაძლევს მთელი სინამდვილით გაჟღენთილნი, თუ რა მეტი გააკეთა გ. ტაბიძემ რევოლუციისათვის. პოეტი ჩვენს სინამდვილეს ახლოდ და მხოლოდ სავსე ლირიკული სახეების ფორმაში ითვისებს.

ს. ჩიქოვანისათვის უკანასკნელი წლები იყო შეუდარებელი შემოქმედებითი მუშაობისა და ზრდის პერიოდი. მთელი რიგი ლექსებით მან გამოამჟღავნა თემატიური მრავალფეროვნება და მაღალი პოეტური ოსტატობა. ლექსი „მდინარის გადაგდება" არ არის რიტორიკულ და დეკლარატიული ტონით შესრულებული, რაც დამახასიათებელი იყო პოეტისათვის ადრინდელ პერიოდში. უმეტესობით არის დაწერილი ბალადა **„ქორები"** და „პარტიზანების ტბა".

გ. ლეონიძე როგორც პოეტი სათავეებს ღებულობს ძვ. 17—18 საუკუნის ქართულ პოეზიაში. ამ გარემოებას ერთისმხრივ აქვს ძალზე დიდი დადებითი მხარე, ლეონიძეს აქვს მოუღლელი შრომისმოყვარეობა. [illegible] ის ჯერ კიდევ შორს არის აქტიური რევოლუციური პოზიციისაგან. მისი უკანასკნელი ლექსები კაცზე და სტალინზე ნათლად მიუთითებს მობრუნებისა და ზრდის მაჩვენებელია.

ნ. მიწიშვილი უკანასკნელ ხანებში აქტიურად მუშაობს. მან გამოაქვეყნა ლექსების სერია საერთო სათაურით „ახალი მოედანი". ამ სერიიდან უთუოდ გამოირჩევა „პაპი მურატის მოჭრილი თავი" ამ ლექსში მოცემულია „გარიყული ადამიანის" კრიტიკა, როგორც ვიცით მიწიშვილი ხანგრძლივად განიცდიდა ამ გარიყობას. „ახალი მოედანი" უეჭველად შედის საბჭოთა პოეზიის აქტივში.

ალ. ქუთათელმა მოგვცა გამართული ლექსების სერია ბელორუსიაზე, მან საბჭოთა საქართველოს მშრომელებს პოეტურ სახეებში გაცნო მოძმე რესპუბლიკა.

ალ. გომიაშვილი უკანასკნელ ხანებში აქტიურად მუშაობს სამხედრო თემატიკაზე. მან გამოაქვეყნა „ანაპეროს სოფელი", „[illegible] მეომარი სხივის" და სხვა. მისი ზრდისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ერთფეროვანი პოეტური ინტონაცია.

პ. სამსონიძემ თვალსაჩინო აქტივობა გამოამჟღავნა, მან რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა „კომუნისტში", რომლებიც უთუოდ მოწმობენ, რომ პოეტმა თავი დააღწია „აგიტკას" და დეკლარატიულობას, რომელიც წინა პერიოდში ნაწილობრივ ახასიათებდა მას.

ხანდრო ეულმა სცადა მუშაობა ეპოსზე. მისი „ბოლშევიკური პარტია" ეპიკური ნაწარმოებია, მაგრამ პოემას ახასიათებს ერთგვარი სქემატიზმი. პოეტმა ვერ დაძლია თემა. საინტერესოდ ჟღერს იქცევს ლექსები: „ბილადი დედასთან", „[illegible] და არწივი". აქ ხანდრო ეული ახერხებს კონკრეტულ სახეების ფერებით შესრულებას ლექსი.

ამხ. რადიანის მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. კამათში მონაწილეობა მიიღეს: **ალ. მაშაშვილმა, პ. სამსონიძემ, ქ. კალაძემ, ალ. გაწერელიამ, ვალ. გაფრინდაშვილმა, ქ. შელაძემ, ლ. ასათიანმა, კონსტ. ლორთქიფანიძემ, ი. მოსაშვილმა, ბ ბუაჩიძემ, პ. იაშვილმა, ალ. ქუთათელმა, გ. გორგაძემ, ნ. მიწიშვილმა, ლ. ასათიანმა, ლ. გეგეჭკორმა, გ. არახამ, დ. დემეტრაძემ, ბ. ჟღენტმა, გ. შუბლაძემ, გ. კალანდაძემ, ქ. ხიზნიშვილმა, ალი არსენიშვილმა, მიქელ პატარიძემ** და სხვ.

მოკამათეების უმრავლესობა ამხ. რადიანის მოხსენებას ძირითადში თვლიდნენ სწორად, მაგრამ მასში შენიშნეს ცალკეული შესწორებები და დამატებები ამასთანავე აყენებდნენ და აქვთ ახალ პრობლემებს.

აღსანიშნავია, რომ დისკუსია პრინციპულ სიმაღლეზე იდგა და ჩატარდა თვით კრიტიკის ნიშნის ქვეშ. თუმცა ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ცალკეულ უმართებულო გამოსვლებს. რაც მომავალში არ უნდა განმეორდეს.

ფოტო—კოზბანისა.

პალმების ქალაქი

ხურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ — ლენინის ძეგლი რევოლუციის მოედანზე; შადრევნების ხეივანი ქალაქის ბულვარში; ხედი გემსადგომისაკენ სანაპირო ქუჩიდან.

ბათუმის ქალაქის საბჭომ, საქ. კ.პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით, უკანასკნელი წლების განმავლობაში უდიდესი მუშაობა ჩაატარა ქალაქის გალამაზება-გამწვანიერებისა და მისი კეთილმოწყობისათვის.

უკვე დამთავრდა კანალიზაციის პირველი რიგის სამუშაოები. გაჩაღებულია მუშაობა მეორე რიგის სამუშაოების ვადაზე დასამთავრებლად. მოასფალტებულია მთელი რიგი ქუჩები და მოედნები. ქუჩების გასწვრივ დარგულია მარადმწვანე მცენარეები. გაშენებულია ყვავილნარები, გაფართოებულია კულტურისა და დასვენების პარკი. ზღვის სანაპირო ბულვარზე აგებულია კოლონადები, [illegible] შადრევნები. რევოლუციის მოედნის გადასაკეთებლად წარმოებულმა მუშაობამ სავსებით შეცვალა ამ მოედნის სახე — მთელი მოედანი გაფართოებული, მოასფალტებული და პალმებით და ყვავილნარებით არის შემორკალული.

მოედნის ცენტრალურ არეალს აღმართულია ლენინის ძეგლი 13 მეტრის სიმაღლით. სანაპირო ქუჩაზე ძველი შენობების აღებამ მთლად შეუცვალა სახე ამ ქუჩას, უფრო გაალამაზა. იგი და გაიხსნა ხედი გემსადგომისა და მთელი ზღვის სანაპირო ზონისაკენ.

ბათუმის შემდგომი კეთილმოწყობის მიზნით ქალაქის საბჭოს უფრო დიდი სამუშაოები აქვს გათვალისწინებული მიმდინარე წლისათვის.

▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽

ახალი სკოლები საქართველოს ქალაქებში

მიმდინარე წელს ტფილისში რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებით აიგება 6 ოთკომპლექტიანი ათწლედი 880 მოწაფისათვის თვითეული და 2 ერთკომპლექტიანი ათწლედი 440 მოწაფისათვის თვითეული.

ქუთაისში რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებით აიგება ერთი ოთკომპლექტიანი ათწლედი 880 მოწაფისათვის, ერთი არასრული საშუალო სკოლა 280 მოწაფისათვის.

ბათუმში გათვალისწინებულია ათწლედის აგება 400 მოწაფისათვის და სრული საშუალო სკოლა 280 მოწაფისათვის. სოხუმში — ორკომპლექტიანი ათწლედი, სტალინირში — ათწლედი 400 მოწაფისათვის და „მოლიბდენმშენთან" შვიდწლედი 280 მოწაფისათვის.

დამთავრდება აგრეთვე საერთო საცხოვრებლის მშენებლობა 600 კაცისათვის ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან.

მიმდინარე წელს დამთავრდება ტფილისის (თურქული), მარტვილის, თიანეთის, ამბროლაურის, ონის და საგარეჯოს პედტექნიკუმები.

როგორც ცნობილია, გასულ წელს დაიწყო ტფილისის სახ. უნივერსიტეტის გრანდიოზული ფიზიკურ-ქიმიური კორპუსის მშენებლობა. მიმდინარე წელს ამ შენობის ნაწილი დამთავრდება და წლის ბოლოს საექსპლოატაციოდ იქნება გადაცემული.

□

ასფალტი მაჩაბლის ქუჩაზე

მაჩაბლის ქუჩა ტფილისში მოასფალტებულია. მუშაობა შესრულებულია უმოკლეს დროში — 3-ნახევარ დღეში, მოსამზადებელ სამუშაოსთან ერთად. ასფალტი დაგებულია 3 ათას კვადრატულ მეტრზე (ლერმონტოვის და ენგელსის ქუჩებს შუა).

გარაჟი-სასტუმრო ტფილისში

იანვრის პირველ რიცხვებში ტფილისში, პლეხანოვის პროსპექტის და პიროგოვის ქუჩის კუთხეში, დაიწყება დიდ გარაჟ-სასტუმროს მშენებლობა ინდივიდუალური მსუბუქი ავტომანქანების შენახვისა და დგომისათვის.

გარაჟის პროექტით, რომელიც შეადგინა ტფილისის საბჭოს საარქიტექტურო სახელოსნომ არქიტექტორი ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით, გათვალისწინებულია ხუთსართულიანი შენობის აგება სახელოსნოთი მანქანების რემონტისათვის, კაფე-რესტორანით შენობის სახურავზე და სხვ.

გარაჟის ყველა ხუთ სართულზე აიგება ფანდუსი (გვერდობი ავტომობილების აწევისა და ჩამოშვებისათვის).

კინაკინის ხის პირველი პლანტაციები

მოსკოვიდან მიღებული ცნობით, საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სასოფლო სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სუბტროპიკულ კულტურათა სექციის პლენუმმა განიხილა საბჭოთა სუბტროპიკებში კინაკინის ხის ათვისების საკითხი. სოხუმის სანტრიოდუქციო სანერგეში და ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ამ მიმართულებით დიდი მუშაობაა. უკვე მიღწეულია შესანიშნავი წარმატებები. სანერგებით გამრავლების მეთოდი საშუალებას იძლევა ადგილობრივ კინაკინის ხე მინდვრად და გამოყენებით კინაკინის პრეპარატების მისაღებად. უკვე მიღებული პრეპარატის გამოყენებამ მალარიით დაავადებულებზე დადებითი შედეგები მოგვცა.

აკადემიამ წინადადება მისცა სოხუმის და ბათუმის სამეცნიერო-საკვლევო ორგ ნიზაციებს ერთ ჰექტარამდე აიყვანონ კინაკინის ხის პლანტაციის ფართობი. ეს იქნება პირველი ნახევრადსაწარმოო პლანტაცია.

○

მემცენარეობის საკ. ინსტიტუტმა სოხუმში თავის სანტრიოდუქციო სანერგეში დაამთავრა სამი ორანჟერეის მშენებლობა. ეს ორანჟერეები გათვალისწინებულია კინაკინის ხის მასობრივად გამრავლებისათვის. ეს ნაგებობა შესაძლებლობას მოგვცემს 1936 წელს გავზარდოთ 50 ათასი კინაკინის ხის ნერგი.

▽ ▽ ▽ ▽

ფოტო—ბუდეშკისა.

ტფილისის სახ. ცირკში დაიწყო მსოფლიოს ცნობილი მწვრთნელის ვლადიმერ დუროვის (უმცროსი) გასტროლები ხურათზე: მსახიობი დუროვი თავის სპილო „მაქსთან".

ნაძვისხე—მასკარადი სახ. ოპერაში

სახიხარულო დღეს ამზადებს ბავშვებისათვის 6 იანვარს ტფილისის სახ. თეატრი. ამ დღეს თეატრში გაიმართება დიდი ნაძვისხე—საბავშვო მასკარადით.

სცენაზე დადგმული იქნება 6—7 მეტრის სიმაღლის, დიდი ნაძვისხე, [illegible] ბუტაფორიული სათამაშოებით, სხვა-და-სხვა-ფერის ელნათურებით.

სცენა გაფორმებული იქნება საზამთრო პეიზაჟით. ნაძვისხის ირგვლივ დაიდგმება რამდენიმე ხელოვნური. ბამბისაგან გაკეთებული და საიზინავით დაფარული „თოვლის კაცი". სცენიდან დარბაზში გაიდება ორი თიდი თოვლის ბილიკებით, დაფარული ხელოვნური თოვლით.

პროგრამა სპეციალურად საბავშვო განყოფილებაში ხაბავშვო გუნდური სიმღერა-ცეკვა ნაძვისხის ირგვლივ. მეორე განყოფილებაში სიმფონიური ორკესტრი სპეციალური პროგრამით შეასრულებს მთელ რიგ მუსიკალურ ნაწარმოებს ბავშვებისათვის. იქვე ნაძვისხესთან გაიმართება კონცერტი და მასკარადი ბალეტის არტისტების და ხალხურ-სიმღერალთა მონაწილეობით. შესრულებული იქნება საბავშვო სიმღერები და ცეკვა.

დღის განმავლობაში გაიმართება კონკურსი ქართველი და რუსი პოეტების ლექსების საუკეთესო კითხვაზე. აგრეთვე კონკურსი საუკეთესო კოსტუმზე ბავშვებს დააჯილდოვებენ 50-დან 100 მანეთად ღირებული საჩუქრებით.

ანტრაქტებში გაიმართება თეატრის მსახიობების შეხვედრა ბავშვებთან მასკარადის კოსტუმებით.

დილის დროს პატარა ბავშვები სპეციალური პარკებით მიიღებენ ტკბილეულს.

წინასწარი ვარაუდით ოპერაში გამართულ ნაძვისხე—მასკარადს დაესწრება 1000—1500 ბავშვი.

ბილეთები იყიდება სახ. ოპერის სალაროში.

□

სპორტი

დამთავრდა საშემოდგომო პირველობის გათამაშება ფეხბურთში

1 იანვარს „დინამოს" ახალ სტადიონზე მოხდა ტფილისის ფეხბურთელთა გუნდების საშემოდგომო პირველობის გათამაშების უკანასკნელი შეხვედრა. ერთმანეთს შეხვდნენ „დინამოს" და ტყავის ფეხბურთელები. საშემოდგომო პირველობის გათამაშების პერიოდში, ხსენებული გუნდები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ორჯერვე შეხვედრა 1:1 დამთავრდა „დინამოსა" და სამომხმარებლო ორგანიზაციის გუნდების მესამე შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მით უფრო, რომ შეხვედრა სწყვეტდა პირველობის საკითხს [illegible] მეტად სანტერესო გამოდგა. მთელი ხნის განმავლობაში შესამჩნევი იყო „დინამოელების" უპირატესობა მათ შეხვედრის დამთავრებამდე შესძლეს ორი მეტის გატანა და ამრიგად შეხვედრა 2:0 ანგარიშით დამთავრდა, „დინამოელების" სასარგებლოდ.

სამომხმარებლო ორგანიზაციის გუნდზე გამარჯვებით „დინამოელები" გაუსწრეს ამ.კ. ინდუსტრიული ინსტიტუტის ფეხბურთელებს და გაიყვეს მათთან პირველი და მეორე ადგილი მესამე და მეოთხე ადგილი გაიყვეს „სპარტაკისა" და სამომხმარებლო ორგანიზაციის ფეხბურთელებმა.

□

11 მილიონი ქილა კონსერვი

ქუთაისის საკონსერვო ქარხანამ აითვისა მანდარინის კომპოტის წარმოება. ქარხანამ უკვე გამოუშვა 260 ათასი ქილა მანდარინის კომპოტი და მურაბა.

ლაბორატორიულმა ცდებმა ცხადჰყვეს, რომ კომპოტად გადამუშავებული მანდარინი ინარჩუნებს ბუნებრივი მანდარინის ყველა თვისებას.

27 დეკემბრისათვის ქუთაისის საკონსერვო ქარხანამ გამოუშვა 11 მილიონი ქილა კონსერვი — წლიური გეგმის 118 პროც. და 34,1 პროც მეტი, ვიდრე 1934 წელს.

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი ფეხიბელი საპონი

ჩვეული ჩვეულებრივი საპონი წარმოადგენს [illegible] ცხიმოვანი მჟავების ტუტე [illegible] მარილებს [illegible]

ცხიმოვანი მჟავები სუსტ მჟავებს წარმოადგენენ და ამიტომ ადვილად ჰიდროლიზდებიან წყალში (ურთიერთობენ წყალთან) თავისუფალი ტუტის გამოყოფით. ამის გამო საპონს ხშირად ტუტე თვისებები აქვს, რაც მავნე გავლენას ახდენს გასარეცხ ამოსტურის და ქსოვილის ბოჭკოებზე. ხშირად, მათ ფერზეც. მეორე მხრივ, წყლის ბუნებრივი სიხისტე (კალციუმის და მაგნიუმის მარილების სიმრავლე მასში) ჩვეულებრივი საპნით სარგებლობის დროს იწვევს თეთრი უხსნადი ფიფქის წარმოშობას და აკარგვებს საპნის ხამურეცხავ თვისებებს. წყლის სიხისტის გამო ჰკარგულ(?) ამით იკარგება [illegible] ტონა საპონი.

ამ უარყოფითი თვისებებისაგან თავისუფალია საზღვარგარეთ (გერმანიაში) ახლად გამოგონებული საპონი—სულფო ტიპის სულფომჟავების მარილი. სულფომჟავები საკმაოდ ძლიერ მჟავას წარმოადგენენ და ამიტომ მათი ტუტე მარილები არ განიცდიან ჰიდროლიზს. ახალი საპონი ადვილად იხსნება ცივ(?) წყლებში და კირისა და მაგნიუმისაგან არ წარმოშობს უხსნად ნაერთებს — ამ [illegible] 100 პროცენტ.

[illegible] თვისებებით ახალი საპონი 2—4 ჯერ სჯობნის ჩვეულებრივ ცხიმოვან [illegible]

მადნების ჰიდრავლიკური კლასიფიკატორი

„მექანობრის" (მოსკოვში) ინჟინერმა [illegible] შეადგინა პროექტი და შემდეგ დაამზადა ახალი [illegible] ჰიდრავლიკური [illegible] მარგანეცისა და სხვა მადნების ზუსტი კლასიფიკაციისა და გარეცხვისათვის. აპარატის მუშაობის ნაყოფიერება მეტად დიდია. ამ აპარატს, რომელიც [illegible] ერთად-ერთია საბჭოთა კავშირში, შეუძლია შეცვალოს [illegible] და ცალკე შემთხვევებში ყველა სხვა სისტემის ჰიდრავლიკური კლასიფიკატორი.

პირველი საბჭოთა პლანეტარიუმი

სახ. პოლიტსამმართველოს სახელობის ოპტიკურ-მექანიკური ქარხანა (ლენინგრადში) ამზადებს პირველ საბჭოთა პლანეტარიუმს. ამ ერთეულ ოპტიკურ ხელსაწყოს აქამდე ამზადებდა ცეისის ფირმა, რომელმაც დადგა პლანეტარიუმი 22 ქალაქში (მათ შორის—მოსკოვშიც). საბჭოთა პლანეტარიუმს ექნება მთელი რიგი დამატებითი მექანიზმები, რომლებიც გააუმჯობესებენ მის ექსპლოატაციას.

შემთხვევები

# მკვლელობა. მ. ა. ეზროვი (ნანაძორის შესახვ 4), შურისძიების ხიადავ, მოკლა თავისი ნათესავი ს. ი. ეზროვი. მკვლელი შეიპყრეს.

# აზარტულ მოთამაშეთა თავშესაფარი მოქ ს. ა ფირზიძის ბინაზე (სოლოლაკის ქუჩა 10), ალმოჩნდა აზარტულ მოთამაშეთა თავშესაფარი. ხარის თამაშის დროს იქ შეიპყრეს: ა. ი. ლობიევი, ი. ფ. სხიაშვილი, თ. ი. ხაიბაშვილი, ი. შ ცაცკაშვილი, ა. მ. მოშიაშვილი, ბ. კ. დავითაშვილი და ს. ბ. დათოკაშვილი. ბინის პატრონი და ყველა დამნაშავეები პასუხისგებაში მისცეს.

# გაუფრთხილებელი ხვლა. საბჭოს ქუჩაზე მსუბუქი ავტომანქანა № 8—82, დაეჯახა 6 წლის ბავშვს ო. გ. ბურდულს (მელიქოვის ქ 8) და ძირმალ დააზიანა. მძღოლი ვ. ბ. გიგიტაშვილი პასუხისგებაში მისცეს.

# ქურდის დაპატიმრება. ვიტრინის გატეხის საშუალებით გაქურდეს „კულტუროვარების" ტრესტი (საბჭოს ქ 20), კოსკი, საიდანაც მოიტაცეს სხვადასხვა ნივთები. ქურდი ა. ი. [illegible] შეიპყრეს. მას ჩამოართვეს ნაქურდალი ნივთების ნაწილი.

□

რადიო-გადაცემა 4 იანვრისათვის

12—00— გასართობი მუსიკის კონცერტი. ნაწყვეტი გრამოფონის ფირფიტებზე 16—40 ქართული მუსიკის კონცერტი 17—30 გასართობი მუსიკის კონცერტი 18—00 კონცერტი-ვიქტორინა სომხურ ენაზე (გადაცემა უფროს მოწაფეთათვის). 19—20 ლიტერატურული გადაცემა თურქულ ენაზე. 20—00 ქართული მუსიკალური ფოლკლორის საათი. 21—20 საუბარი თვითგანვითარების ცოდნისათვის (ქართულ ენაზე). 21—40 კამერული მუსიკის კონცერტი. 22—40 კონცერტი.

[illegible]

დღეს
10 აპრილ. 7 წარმოდგენა
პრემიერა
სამსონ და დალილა
ორნაწ. ფაფმ. მუსიკა
მ ზეზნხნიხი
ნ. უმიკაშვილი

5 იანვარს
5 აპრ. 7 წარმოდგ.
ბოშათა ბარონი

6 იანვარს
საბავშვო დილა
ნაძვისხე—მასკარადი
დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

საღამოს
6 აპრილი 7 წარ.
კარმენი

დღეს
15 აპრ. 3 წარ.
კლარონ კრეჩეტი

5 იანვარს
18 აპრ. 3 წარ
ნაგიმუარი

6 იანვარს
1 აპრ. 3 წარ
ნაგიმუარი

სალარო ღიაა 11—2 და 6—9 საათ.
7 იანვრიდან წარმოდგენის დასაწყისი 7 ნახ. საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

იანვარს
წარმოდგ. № 57

5 იანვარს
წარმოდგ. № 58

შაქილი

ჩრდილო-კავკასიის კოლმეურნეთა შეხვედრა

შაქილი

დასაწყისი საღ 8 საათზე
ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.

ოქტომბერი
12, 1-30, 6-30, 8, 9-30 11

დამკვრელი
6, 7-40, 9-20, 11
უფლისციხის [illegible]

ქართული თეატრი
„ახალი ამბები"

როზა ლუქსემბურგის სახ.
6-30, 9-30, 10-30
[illegible] დღის 12 საათ

„26"-ის კომუნ. სახ.
6-30, 8-30, 10-30

ფერადი საზღვარგარეთის ფილმები
კურსანტ. 3 გოგი და სხვ
[illegible] ბილეთები გაყიდულია

დაღუპული გემის საუნჯეში

[illegible]
ზმოვანი ფილმი მტრის ბილიკები
[illegible] წითელი ეშმაკუნები

მხატვრული ფილმი
წითელი ეშმაკუნები

კლუბებისა და ქოხსამკითხველოების გამგეთა მოსამზადებელ-გადამზადებელ 5 და 3 თვიანი კურსების გახსნა

ა/წ. 15 იანვრიდან განათლების სახ. კომისარიატი ხსნის ქ. ტფილისში კლუბებისა და ქოხსამკითხველოების გამგეთა 5 და 3 თვიანი მოსამზადებელ-გადამზადებელ კურსებს მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით (120 მან. რაიონებიდან) სასწავლო ნივთებით და ბინით (ან 60 მ. ბინისთვის).

კურსებზე მიიღებიან რაიონებისათვის მიცემული განრიგების მიხედვით საშუალო განათლების მქონე პირნი.

განათლების განყოფილების გამგეებს ევალებათ უზრუნველყონ აღნიშნულ დროისათვის კანდიდატების ჯგუფები.

მთელი ინებული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ ა/წ. 14 იანვარს განსახკომის მასობრივი კულტურის განყოფილებაში (ოთახი № 31).

სახსახკომის მ-ის მოადგილე ბორდელაძე.
მასობრივი კულტ. განყ. გამგე ა. ბაბილაძე.

9

წყალკანალის სამმართველო

აცხადებს აბონენტთა საყურადღებოდ, რომ ახალი ცხოვრების წესის განხორციელებით დეცენტრალიზაციის გამო 1936 წლის 1-ლი იანვრიდან უკვეყვარი ოპერაციები, როგორიც არის:

1. განცხადების მიღება სახლებში არსებულ შეერთებათა გახსნისათვის და ახალ შეერთებათა მოწყობის შესახებ.

2. პრეტენზიების და საჩივრების მიღება, სხვადასხვა ცნობის და განმარტების მიცემა აბონენტებისათვის და

3. ფულის მიღება

იწარმოებს რაიონულ საექსპლოატაციო კონტორებში:

ლენინის რაიონის—ბუდაღოვის ქ. № 3 ტელ. № 3 28-47
სტალინის „ —აბალმშენის ქ. № 6 „ № 3-23-48
26 კომუნარის „ —შაუმიანის ქ. № 11 „ № 3-39-49
ორჯონიკიძის „ —სამხედრო ქ. № 5 „ № 3-5с-81
კიროვის „ —სარეწაო კოოპერაციის ქ. № 34 „ № 3 59 87

8

წყალკანალის მმართველი—კილურაძე.

ტფილისის სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო იუწყება, რომ 1936 წლის 9 იანვარს ნაშუადღევის 1 საათზე ანატომიური ინსტიტუტის აუდიტორიაში (კამოს 51) შესდგება საჯარო პაექრობა.

დოცენტი, მეცნიერებათა კანდიდატი ალექსანდრე იერემიას-ძე ჯიჯაძე მედიცინის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას შემდეგ თემაზე:

„შობადობა და ბავშვთა სიკვდილიანობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენში".

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფესორები ნანეიშვილი, სოსულია და ა. ირეჯიძე. 11991

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა
მოსამზადებელ კურსებზე
გრძელდება განცხადებების მიღება
ცვლა როგორც საღამოს ისე დღის ცვლაში მეცადინეობის დაწყება [illegible] კანცელარიის მიღება საღ. 7 ს. [illegible] ქ. 51, რკ. გზ. ძვ-5 სკოლაში მე-2 სართულზე. 11986

დაკარგულია პასპორტი და საშუალო განათლების მოწმობა ნიკოლოზ ისიდორეს-ძე მიოცხლავას სახელზე. ნ. გ. 11983

თამარ და გრიშა შენგელიები იუწყებიან ძვირფასი
ოთარ სოლომონისძე ჯაფარიძის
გარდაცვალებას. 11959

ექსპერიმენტალური ვეტერინარის ინსტიტუტის თანამშრომლები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ამხ. მათე კუტუბიძის ძმისშვილის
ბოლოხა დომენტისძე კუტუბიძის
მოულოდნელი დაღუპვის გამო. 11957

გაუბედურებული მშობლები: პეპიკო და ანა ფაილოძე შვილებით იუწყებიან დაუვიწყარი
პატარა ქეთინოს
გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, 7 ს. დასაფლავება, 5 იანვარს 4 ს. ვერის სასაფლაოზე, ელბაქიძის, 11. 11987

ღრმად მწუხარებაში მყოფი მეუღლე ელენე, შვილები კონდრატე და ვერა იუწყებიან საზოგადოებას ძვირფასი და დაუვიწყარი
ბართლომე ბესიკისძე ფაჩულიას
უდროო გარდაცვალებას. დაკრძალვა 4 იანვარს ახალ სენაკში. 11968

დამწუხრებული მშობლები: ტარას და თამარ თევდორაძეები სტირიან თავიანთ პატარა
ვაჟიკოს
უდროოდ გარდაცვალებას გამო. დაკრძალვა 4 იანვარს. 4 ს. ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება კამოს ქ. 9 11973

[illegible] ნინო, დები: მარო, კატო, სოფიო, ძმები: მიტო შველიძე, ზაქარია მიჩიტაშვილი. სიძე იგა იუწყებიან
სიმონ წყალობისძე მაისურაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, პეტროპავლის სასაფლაოზე. გამოსვენება ჭავჭავაძის ქ 26. 11975

დამწუხრებულნი: მეუღლე ნესტანი, შვილები: ლამარა, ისაკი, სვეატა, გარლამი ოჯახებით იუწყებიან დაუვიწყარი
გერასიმე ოქროპირისძე დოლიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ მახარაძეში, ქალაქის სასაფლაოზე, 5 იანვარს. გამოსვენება ცხაკაიას ქ. 22. 11872

შვილები! ნიკოლოზ, მიხეილ, დავით, მარო, რძლები: მარგო, მარო, პაშა, სიძე ელიას ქუთათელაძე იუწყებიან რომ 6 იანვარს, 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია
პეტრე დავითისძე ლორთქიფანიძის
პანაშვიდი. 11874

გულმოკლული დედა სალომე, ცოლი კატუშა, დები: მარო, ლუბა, ცოლის ძმა თომა ბოცვაძე იუწყებიან, რომ 6 იანვარს, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ივრონიმ კოტე კოხრეიძის
პანაშვიდი. 11981

არტელ „პოლიტკატორღელის" გამგეობა და წევრები მწუხარებას გამოსთქვამენ არტელის წევრის მიშო კაპანაძის მამის
იოსებ ბეჟანიონისძე კაპანაძის
გარდაცვალების გამო. 11984

თამარ ვარდანაშვილი — ოქრომჭედლიძისა შვილებით ჩიტუნათი და ჯუნიკოთი იუწყებიან საზოგადოებას, რომ 6 იანვარს, 2 საათზე, ვერის სასაფლაოზე დანიშნულია ძვირფასი მეუღლის, საყვარელ მამიკოს
პარმენ მღვიმისძე ოქრომჭედლიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 11994

დედა მელია, ძმა გერმანი, ბიძა ნინო — [illegible] ოჯახით იუწყებიან სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის
ლუბა კოპოძეს
გარდაცვალებას გამოსვენება პროფკავშირების 40 4 საათზე. 6 იანვარს, კუკიის სასაფლაოზე. 11986

დამწუხრებული დედა ლუიზა, ძმები: გრიშა, ვარლამი და მერი ქმარშვილით, რძალი ნადია, დიდი სამი ქმარშვილით იუწყებიან
ელი ალექსანდრის ასული
ჯიჯიხიას
დაკრძალვას. გამოსვენება პროპიტონ(?) საავადმყოფოდან, 4 იანვარს. 11993

ძმა შოთა, ქმარშვილი თავის ოჯახით მწუხარებით იუწყება
მიშას
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ნავთლუღი. ჭიაბრიშვილის ქ. № 12. 4 საათზე, 6 იანვარს. 12001

სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე კურსის სტუდენტის ივანე გოგაშვილის
პატარა ანზორიკოს
უდროოდ დაკარგვის გამო. 12000

სტ. „კომუნისტი" კამოს ქ № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ 8622